ივერია

ფასი ნომრისა 10 კაპეიკი.

№ 18

კვირა, 2 ივლისი

ყოველკვირეული გაზეთი

ფასი წლის დამლეგამდის 3 მან.; სუთი თვით 2 მან. | 1877—1906 | ადრესი: ტფილისი, ფრეილინის ქ., № 5. ტელეფ. № 922.

სარჩევი:—**პარტიული რადიკალიზმი და კულტურული განვითარება**, ფ. გოგიჩაიშვილისა.—**კრებების თავისუფლების საკითხი ს-თეთბირობში**, კ. ს—სა.—**პატარა ფიქრებ**, ა—ლისა. — **ეკონომია, ფედერაცია და ეროვნული საკითხი**, (რუსულიდან) გ.—სა.—**აგრარული საკითხი**, —ლისა. — **პოლიტიკური პარტიები პოლონეთში**, თ—სა.—**კურკას ქორწილი**, (გაგრძელება) მ. ადამაშვილისა.

პარტიული რადიკალიზმი და კულტურული განვითარება

ყველამ იცის, რომ სოციალიზმი არის იდეოლოგია მშრომელ ხალხისა და განსაკუთრებით კი პროლეტარიატისა. სოციალიზმი მოასწავებს საწარმოვო იარაღებზე კერძო საკუთრების მოსპობას, საწარმოვო იარაღთა გასაზოგადოებრივობას და ამგვარად საზოგადოების ყველა წევრთათვის არსებობის თანასწორ ეკონომიურ პირობების შექმნას. დღეს საზოგადოება კლასებადაა დანაწილებული; არის კლასი, რომელსაც აქვს საკუთრებად მიწა, ეს მთავარი იარაღი სამეურნეო წარმოებისა, არის კლასი, რომელსაც ესევე კერძო საკუთრებად აქვს ყველა ტეხნიკური იარაღები სამრეწველო წარმოებისა. ამათთან ერთად არის კლასი, რომელიც ამ საწარმოვო იარაღებს მოკლებულია, არც მიწა და არც სამრეწველო მოწყობილობა არ გააჩნია და ამიტომ იძულებულია, რომ თავი შეინახოს და ცხოვრება შესძლოს, საწარმოვო იარაღების პატრონთ ან ა) მიექირავოს, მათთან ქირაზე იმუშაოს და თავის შრომის საფასურად ისეთი სასყიდელი მიიღოს, რომელიც ძლივსღა ჰყოფნის მშრომელს არსებობისთვის აუცილებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, და ან ბ) იმავე მქონებელ კლასისგან უნდა იქირავოს საწარმოვო იარაღი — მიწა—და თავის შრომის ნაყოფის დიდი ნაწილი ქირად (იჯარად) იხადოს, ხოლო მცირე დანარჩენით თავი ირჩინოს და სხვა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი გადასახადები გაისტუმროს. საწარმოვო იარაღებზე კერძო საკუთრების არსებობის წყალობით, მათ მესაკუთრეებს რჩებათ მოგებად ნაწილი მუშის შრომის ნაყოფისა, ვინაიდან მშრომელის წილი (ქირა) წარმოებაში ბევრად ნაკლებია იმაზე, რასაც ნამდვილად ჰქმნის მისი შრომა. სოციალიზმი კი უარჰყოფს საწარმოვო იარაღებზე ასეთ კლასობრივ მონოპოლიას და თხოულობს, რომ თანამედროვე წარმოებისთვის აუცილებელი იარაღები ეკუთვნოდეს არა ერთსა ან ორ კლასს, არამედ მთელ საზოგადოებას, და წარმოების ნაყოფიც სავსებით მშრომელთ რჩებოდეს საკუთრებად და არა, როგორც დღეს, მესაკუთრე კლასებს მოგებად. ცხადია, რომ ასეთ მოძღვრებაში - სოციალიზმში მშრომელთა ინტერესების დაცვაა გატარებული, ეკონომიურ სიღარიბის მომსპობი საშუალებაა კონკრეტულად აღნიშნული და ამიტომ ადვილი გასაგებია, რომ ამ მოძღვრებას ემხრობა და მასში გამოთქმულ საბოლოო მიზანს თავის დროშაზე იწერს მხოლოდ ის კლასი, რომელიც თანამედროვე საზოგადოებაში საწარმოვო საკუთრებას მოკლებულია და სხვების საწველ ფურად არის გამხდარი.

ასეა ეს ყველგან და, რასაკვირველია, ასე უნდა იყოს ჩვენშიაც. ჩვენში, ყველა სოციალ-პოლიტიკურ მიმართულებასთან შედარებით, უფრო გავრცელებულია მოძღვრება სოციალისტური, ძლიერია რადიკალიზმი პარტიული. ამის მაჩვენებელია რამოდენადმე ქართული პრესსა, საპარლამენტო არჩევნების შედეგი, კრებები, მიტინგები და საერთოდ ქართველებში მომქმედი პარტიები. ეს გარემოება კი თავის მხრივ გვიჩვენებს იმას, რომ ჩვენში მრავალრიცხოვანია ის საზოგადოებრივი ჯგუფი თუ კლასი, რომლის სოციალ-ეკონომიურ ინტერესებს გამოჰხატავს სოციალიზმი, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქართველებში ბლომად მოიპოვებიან ღატაკნი, საკმაო საწარმოვო ქონებას მოკლებულნი.

არავითარი სტატისტიკური ცნობები არაა საჭირო ქართველ მკითხველის დასარწუნებლად, რომ ჩვენში საშინელი მიწის სივიწროვეა და რომ სასოფლო მეურნეობა ველარ ჰყოფნის ხალხს თავის გამოსაკვებად. ხალხი შეუჩერებლივ მრავლდება და საგლეხო მიწათმფლობელობა დაახლოვებითაც კი ალარ შეესაბამება გლეხების სამამულო მოთხოვნილებას. ამიტომაც უფრო და უფრო დიდი ნაწილი გლეხობისა თან და თან კერძო მემამულეთა მიწებს უხდება მუშტრად და სწევს ზევით მიწის იჯარას, ხოლო დანარჩენი ქალაქებს ეტანება და ქალაქურ ცხოვრებაში ეძებს ალაგს და ცდილობს დღიურ ლუკმის მოპოვებას. ერთის სიტყვით, სიღარიბე ქართველებში საერთო დოვლათია, ღარიბ-ღატაკთა რიცხვი დიდია და ამ მხრივ საეკონომიო დემოკრატიზმს და სოციალიზმის მოძღვრებასაც ჩვენში ფართო ნიადაგი აქვს.

ამასთანავე მხედველობაში მისაღებია შემდეგი გარემოებაც. საქართველოს ცხოვრება ისეთ ისტორიულ პირობებში სწარმოებდა, რომ ქართველმა ხალხმა ვერ შეჰქმნა ცოტად თუ ბევრად ძლიერი და თვალსაჩინო კლასი ბურჟუაზიისა. კლასობრივი განხეთქილება და ბრძოლა ქართველებში დღესაც უმთავრესად მიწათმფლობელობის ნიადაგზე სწარმოებს. ქართველი ბურჟუაზია, ვითარცა საზოგადოებრივი კლასი, ჯერ კიდევ ისე გარკვეულად არაა ჩამოყალიბებული, როგორც კლასი მემამულეებისა. ბურჟუაზიის სისუსტეს ეკონომიურ ცხოვრებაში სავსებით შეეფერება და გამოჰხატავს მისი იდეურ გავლენის სისუსტე ჩვენს საზოგადოებრივ ურთიერთობაში. არა თუ ბურჟუაზია, სოციალურად უფრო ძლიერი მემამულეთა კლასიც ასევე სუსტია იდეურად საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თავად-აზნაურობა მხოლოდ წოდებრივი

ცნებაა და არა—ეკონომიური: ქართველ თავად-აზნაურობის მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობა წარმოადგენს აგრარელთა კლასს, რომლის არსებობის მთავარ სახსარს, ან ბანკის ვალების გასწორების საშუალებას, მიწის რენტა იძლევა. ასეთი მომსხო მემამულენი ჩვენში ცოტანი არიან რიცხვით და სუსტნი—გონებრივის ავლადიდებით.

•მგვარად, ქართველ ერის სოციალური დანაწილება დღეს-დღეობით ისეთია, რომ მასში სრულიად ნიადაგი არა აქვს არც რეაქციონურ კონსერვატიზმს და არც მანჩესტერულ ლიბერალიზმს. აქ ნიადაგი აქვს მხოლოდ დემოკრატიულ მოძღვრებას და მომავალიც მხოლოდ დემოკრატიულ პარტიებისა არის. დემოკრატიული პარტიები ერთმანეთისგან განსხვავდებიან მეტ-ნაკლების რადიკალობით, სოციალიზმით და მარტო დემოკრატიულ რიფორმების მომხრეობით. „ბურჟუაზიული“ დემოკრატია და სოციალისტური დემოკრატია —აი ის ორი მთავარი მიმართულება, რომელშიც ახლო მომავალში,—გვგონია ჩვენ,—გამოიხატება პარტიული დანაწილება საქართველოში. დღეს ფეხმოკიდებულნი არიან მხოლოდ სოციალისტური პარტიები, მაგრამ ეს იმას არ მოასწავებს, რომ დემოკრატიულ მიმართულების პარტიას ცხოვრების მიერ ნიადაგი აქვს მოსპობილი. სოციალისტურ პარტიების გამაგრებას ხალხში ხელი შეუწყო არა მარტო ცხოვრებაში არსებულმა ნივთიერმა განწყობილებამ, არამედ იმ გარემოებამაც, რომ აღნიშნულ პარტიულ მიმართულებას მეთაურები გაუჩნდენ და იწყეს თავიანთ აზრების გავრცელება ხალხში.

მაგრამ, დღეს-დღეობით მაინც,—ვიმეორებთ,—გამარჯვება სოციალისტურ მოძღვრებას აქვს საქართველოს პარტიულ ცხოვრებაში. რას მოასწავებს ეს მოვლენა? ნუთუ იგი მართლა უნდა მივიჩნიოთ ჩვენი დიდ კულტურულ განვითარებისა და დაწინაურების მაჩვენებლად, როგორც ეს ზოგიერთ პარტიულ პუბლიცისტებს ჰგონიათ?

სამწუხაროდ, ჩვენ არ შეგვიძლია თავი შევაფაროთ ასეთ ოპტიმიზმს. პირიქით, ჩვენ გვგონია, რომ ქართველ ხალხის „გატაცებას სოციალიზმით“ სარჩულად არ უდევს არც შესაფერი კულტურული განვითარება და არც მაღალი სოციალ-პოლიტიკური შეგნება და ცნობიერება. სჯობს ამ შემთხვევაში სინამდვილეს პირისპირ შევხედოთ და სასიამოვნო ილუზიებით ჩვენს თავს ნანინა არ ვუმღეროთ.

ზერელე, რეალურ ცხოვრების მოვლენათა განსჯაზე დაუმყარებელი შედარება ერთის ქვეყნისა მეორესთან ადამიანს ისეთ დასკვნამდე მიიყვანს, რომელიც ყალბია და სინამდვილეს არ შეეთანხმება. მაგალითად, ევროპაში დიდძალი პროლეტარიატი არსებობს და ეს მისი არსებობა მჭიდროდ შეკავშირებულია ევროპის სახელმწიფოთა დიად კულტურულ განვითარებასთან. ის მდიდარი კულტურა, რომელსაც ჰგემობს დღეს მთელი ევროპა, ახლანდელ ეკონომიურ წესწყობილებაში, წარმოუდგენელია უპროლეტარიატოდ, რადგან მთელ თანამედროვე სიმდიდრეს, რომელსაც ნივთიერი კულტურა ეწოდება, მუშა ხალხი ჰქმნის თავის შრომით. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ პროლეტარიატის არსებობა უეჭველად შეკავშირებული იყოს დიდ ეროვნულ კულტურასთან. პროლეტარიატის წარმოდგომა და გამრავლება თავის თავად არ ნიშნავს არც კულტურას და არც უკულტურობას,—იგი შეიძლება მაჩვენებელი იყოს კულტურისა და უკულტურობისაც. მთავარი გზის გამკვლევი ნიშანია აქ არა პროლეტარიატის არსებობა, არამედ ის როლი, რომელსაც ასრულებს ეს პროლეტარიატი სახალხო მეურნეობაში, ის ხარისხი შრომის საზოგადოებრივ განაწილებისა, რომლამდინაც მიეღწევია ერს, ხალხს, და ის ტეხნიკური განვითარება, რომელიც გამომხატველია ადამიანის შრომის განაყოფიერებისა და თან ახლავს შრომის საზოგადოებრივ განაწილებას.

თუ ამ მხრივ ჩავუკვირდებით ჩვენს ცხოვრებას, ბევრს ვერაფერს დავინახავთ სანუგეშოს. ჩვენში ს ფაბრიკო მრეწველობა კუს ნაბიჯით მიდის წინ და დღეს-დღეობით სრულიად განუვითარებელია. ამიტომ მას არ შეუძლია საკმაო სამუშაო მისცეს ყველა პროლეტართ და „ნახევარ-პროლეტართ“, რომელნიც სოფლებიდან ქალაქებს აწყდებიან ადგილის საძებნელად. ქართველი მშრომელი, რომელიც, უმიწა-წყლობის გამო, სოფელს შორდება და სხვაგან ეძებს ლუკმა პურს, ადგილს შოულობს—თუ საზოგადოდ შოულობს—არა საფაბრიკო მრეწველობაში, არამედ ჩინოვნიკობისა და ბურჟუაზიის ოჯახებში ხელზე მოსამსახურედ, რესტორანებში და სასტუმროებში ლაქიად და მზარეულად, სხვა და სხვა ახლად ასაგებ შენობებზე ტალახისა და კირის მზელავად, არხების მთხრელად, ბარგის გადამტანად და სხვა ამგვ. ბევრი „საფაბრიკო“ წარმოების დარგთაგან, რომელიც ოფიციალურ სტატისტიკაშია შეტანილი, ნამდვილად ფაბრიკულად არ ჩაითვლება და ესენი ამასთან ტეხნიკურად სრულიად პრიმიტიული დარგებია წარმოებისა. მაგალითად, გლაუბერის მარილის მოგროვება, კირის დაწვა, კრამიტისა და აგურის კეთება, თიხის ქოთნების წარმოება, თაფლის სანთლის დამზადება, მატყლის რეცხა, დაბახანა, ხე-ტყის სახერხი, არყის სახდელი ქვაბები—ყველა ეს „ფაბრიკებად“ და „ქარხნებად“ არის სტატისტიკაში აღნიშნული. მკითხველიც მიხვდება, რომ ყველა ამგვარი წარმოება ჩვენში უფრო ხელოსნურის წესით სწარმოებს, ვიდრე ფაბრიკულ ტეხნიკითა და მოწყობილობით. 1898 წლის სტატისტიკაში, მაგალითად, ნაჩვენებია 855 არყის სახდელი „ქარხანა“, რომელიც გამართული იყო მთელ საქართველოში და რომელშიაც 2276 „მუშა“ მუშაობდა, ე. ი. 2½ მუშა თითო ამგვარ „კაპიტალისტურ“ „ქარხანაში“. არის ჩვენში აქა-იქ მადნების კაპიტალისტური ექსპლოატაციაც, მაგრამ აქაც ჩვენებური წარმოება დაუმუშავებელ მასალის დამზადების იქით აღარ მიდის. შავი ქვა, ეს მთავარი დარგი კაპიტალისტურ წარმოებისა ქუთაისის გუბერნიაში, დაუმუშავებელ მადნად იგზავნება ევროპასა და ამერიკაში. საერთო რიცხვი საფაბრიკო წარმოების დარგთა, რომელიც აღნუსხულია ჩვენებურ სტატისტიკაში, არ აღემატება 50-ს, თუმცა ამ სტატისტიკაში, როგორც ვთქვით, ზოგი ისეთი დარგია შეტანილი, რომელიც საფაბრიკო წარმოებაში არას გზით არაა შესატანი. ეს რიცხვი—50 იმას ნიშნავს, რომ ჩვენში შრომის საზოგადოებრივი განაწილება მხლოდ ჩასახულია და სრულიად არ არის განვითარებული, იმ დაწინაურებულ ქვეყნებში კი, სადაც მრეწველობა აღორძინებულია, საზოგადოებრივი წარმოება უთვალავ დარგადაა დანაწილებული. მთელს გერმანიაში, მაგალითად, 1882 წელს 1679 სამრეწველო დარგი ითვლებოდა, ხოლო 1825 წელს კი—10298. ეს დიდი ციფრი—ათი ათას ორას ოთხმოცდა თვრამეტი—ნათლად გვიჩვენებს, თუ რა უმწვერვალესობამდის არის გერმანიაში შრომის საზოგადოებრივი განაწილება განვითარებული.

შრომის საზოგადოებრივ განაწილების სიმცირე კი უტყუარი ნიშანია საეკონომიო კულტურის სიმცირისა და სიღარიბისა. ამ აზრს მკითხველი ნათლად წარმოიდგენს შემდეგი მარტივი მაგალითის საშუალებით. ვთქვათ, შავი ქვის

მოთხოვნილება საზღვარ გარეთის ბაზარზე ისე გაიზარდა, რომ საჭირო გახდა ჩვენში წლიურად ასჯერ მეტი მადნის გამოტანა მაღაროებიდან და საზღვარ გარედ გზავნა, ვიდრე აქამდის გამოჰქონდათ და გზავნიდენ. ვთქვათ ისიც, რომ ყველა ქართველი მუშა, რომელიც სოფელსა და სასოფლო მეურნეობას შორდება, სამუშაოს შოულობს შავი ქვის მადნებში, და რომ კაპიტალისტური წარმოება, გარდა შავი ქვისა, სხვა არავითარ დარგს არ ეხება ჩვენში. რა შედეგი მოჰყვება ასეთ მდგომარეობას? ადვილი გამოსაცნობია. მადნის გატანა საზღვარ გარედ ექსპორტერ კაპიტალისტებს მისცემს მოგებას, ხოლო მუშებს სამუშაო ქირას. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ფული არც იჭმევა და არც ჩაიცმევა. ხალხმა აღებულ ფულით უნდა შეიძინოს საჭმელი, ტანისამოსი, ოჯახის მოწყობილობა და მრავალი სხვა და სხვა ნაწარმოები მრეწველობ-სა. და თუ მრეწველობა ადგილობრივ არაა განვითარებული, სამრეწველო ნაწარმოები შემოტანილ უნდა იქმნას უცხოეთიდან. და ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადგილობრივი მცხოვრები, თუმცა იგი აუცილებელ მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ საგნებს პოულობს საყიდლად, სამუდამოდ შავ მუშად რჩება. როგორც ფიზიკურად, ისე გონებრივად. ასეთ მდგომარეობაში სამრეწველო ტეხნიკა ვერ განვითარდება, ვინაიდან ტეხნიკის განვითარებისთვის აუცილებელია შრომის საზოგადოებრივ განაწილების აღორძინება, საჭიროა მრეწველობის სხვა და სხვა დარგთა წარმოდგომა და ამით მშრომელ ხალხისთვის ტეხნიკის პრაქტიკულ სკოლის გაჩენა, მაშასადამე თვით ტეხნიკის შესწავლისა და შეთვისების გადაქცევა საზოგადოებრივ საქიროებად. ესრედ წოდებული აგრარული ქვეყნები, სადაც მთავარ წარმოებას სასოფლო მეურნოება შეადგენს, ამიტომ არიან ჩამორჩენილნი კულტურით მრეწველ ქვეყნებთან შედარებით, რომ იქ მცირეა შრომის საზოგადოებრივი განაწილება და განუვითარებელია საწარმოვო ტეხნიკა.

და ჩვენ, ქართელები, სწორედ ასეთ მდგომარეობაში გახლავართ. მიუხედავად „სოციალიზმით გატაცებისა“ და ცხარე პარტიულ ბრძოლა-კამათისა, ჩვენ არც მრეწველობა გვაქვს და არც სამრეწველო ტეხნიკა, ხოლო სასოფლო-სამეურნეო წარმოების წესი დღესაც იმ დონეზე დგას, რომელზედაც ამ ათასი წლის წინად იდგა. ქართველ გლეხის სიღარიბის მიზეზია არა მარტო უმიწობა, არამედ საწარმოვო ტეხნიკის სიტლანქე, მისი ზრომის მცირე ბარაქიანობა. რა სარგებლობას მისცემს გლეხს თუნდ 25 დესეტინა მიწა, თუ მას წარმოების ახლანდელ წესით 2 დესეტინაზე მეტის შემუშავება არ შეუძლია? როგორ გაიუმჯობესებს იგი თავის მდგომარეობას, თუ მას არც ნათესის შეცვლა და არც მიწის გაპოხიერება არ ეცოდინება?

ხოლო ყველა ამის ცოდნას და გამოყენებას კულტურა, განათლება ჰქვია, რაც ჩვენ ასე დიდად და დიდად გვაკლია. ეს ნაკლებობა ყოველ ჩვენს ფეხის ნაბიჯზე ცხადად და ნათლად ჩანს. დიდძალი უმრავლესობა ქართველ ხალხისა დღესაც წერა-კითხვის უცოდინარია. და ვინც წერა-კითხვა ვიცით, იმათაც არ გვეტყობა დიდი კულტურული სიდარბაისლე და ცნობიერება. მიბრძანდით რომელსამე პარტიულ მიტინგსა და კრებაზე, სადაც სხვა და სხვა პარტიის წარმომადგენელნი ერთმანეთს ეკამათებიან. რას ნახავთ? ნახავთ ბრბოს, რომელიც ერთმანეთის წინააღმდეგ საცემად მიიწევს, მოწინააღმდეგეს სიტყვის თქმას არ აცლის და მის გასაჩუმებლად მარტო ერთი სიტყვა: „ძირს!“ აკერია ენაზე. აქ არ არის გარჩევა და გარკვევა აზრისა და იდეებისა, აქ არის შეუგნებელი მოწონება და ასევე შეუგნებელი დაწუნება. განა ეს კულტურულ მომზადებისა და შეგნების მომასწავებელია? განა ის გულუბრყვილო სოფლელი, რომელმაც თავის აგიტატორის თვალის დაქნევით კრებაზე კინაღამ სცემა ერთ მოლაპარაკეს იმ მიზეზით, რომ უთხრეს: ამ საგანში მარქსი შესცდაო,— განა ეს გლეხი, თოხთან გამარქსისტებული და კრივით მარქსის მოძღვრების დამცველი, შეგნებული მარქსისტი და ხალხის მაღალ კულტურულ განვითარების მაჩვენებელია? ან და ის მეორე ჩვეი ნაცნობი გლეხი, რომელიც ამას წინად პირზე დორბლმორეული თვითონ მე მეკამათებოდა და დარწმუნებით მეუბნებოდა: „თქვენი ანატომია ჩვენთვის საზარალოაო“, განა ის, რომელსაც ანატომია ავტონომიისგან ვერ გაერჩევია, შეგნებულია და მცოდნეა ავტონომიის მნიშვნელობისა? და ასეთი დამახასიათებელი მაგალითები რა დენიც გნებავთ, იმდენი შეიძლება ამოთვალოთ. აიღეთ თუნდა გაზ. „ლამპარსა“ და „მუშას“ შორის ატეხილი „ისტორია“. განა ეს კი კულტურა და დაწინაურებაა? საქართველოს თითქმის ყოველ სოფელსა და დაბაში სოც.-დემოკრატების პროპაგანდისტები საპროტესტო წერილებზე „გლეხებსა“ და „მუშებს“ ხელს აწერინებენ და გაზეთში ბეჭდავენ. და იცით, რას თხოულობენ პროტესანტები? გაზ. „მუშის“ რედაქციამ თავის გაზეთს სახელი გამოუცვალოს, რ დგან ჩვენ მუშები ვართ და არ გვინდა ჩვენს სახელს ისეთი გაზეთი ატარებდეს, რომელსაც ჩვენ არ თანავუგრძნობთო. განა ასეთი სისულელე რომელსამე კულტურულ ქვეყანაში წარმოსადგენია? განა ასეთ ბავშვურ მოთხოვნას წამოაყენებს სადმე ევროპაში რომელიმე შეგნებული მუშათა ორგანიზაცია? ან ამაზე რას იტყვით: იმავე „მუშის“ რედაქციაში მისულა რამდენიმე სოც.-დემოკრატი და, როგორც იმ გაზეთში იყო გამოცხადებული, მოუთხოვიათ,—„ჩვენი“ პარტიის წინააღმდეგ წერაზე ხელი აიღეთ, თორემ ყველას სიცოცხლეს გამოგასალმებთო! ასეთ საქმეს სჩადიან ერთ-ერთ ძლიერ სოციალისტურ პარტიის „შეგნებული“ წევრები. და, განა, ეს არის შეგნება, ეს არის ხალხის პოლიტიკური აღზრდა და კულტურული ამაღლება?

არა, რამდენიმე საპროგრამო ფრაზის გაზეპირება საკმარისი არაა ამისათვის. საჭიროა ხალხის აღზრდა, მისი გონების გაფართოება, ზნეობრივი გასპეტაკება ამისთვის საჭიროა სკოლა, ლიტერატურა, მწერლობაში სერიოზულ ცოდნის შემოტანა, პარტიულ ურთიერთობის გაფაქიზება. ვინ უნდა მოიმოქმედოს ყველა ეს, ვინ უნდა გაუძღვეს ამ დიდად საჭირო საქმეს? უეჭველია, ისევ ჩვენი საზოგადოების შეგნებული ნაწილი. ამ საქმეს ვერ შეგვისრულებს ვერც რუსეთის სამინისტრო, ვერც სათათბირო, რაც უნდა დიდი ცვლილება მოხდეს ამათში. არც ერთი და არც მეორე არ დაგვიწერს არც სამეცხიერო გამოკვლევებს ჩვენის მწერლობისთვის და არც სახელმძღვანელოებს ქართულ სკოლებისთვის. ეს და მსგავსი საქმეები ქართველ საზოგადოების მოვალეობაა და მათი შესრულება მის კერძო ინიციატივისა და შრომის ენერგიაზეა დამოკიდებული. ეს მუშაობა ბევრად უფრო საჭირბოროტესია, ვიდრე პარტიულ ლაშქრის დაძვრა საპროტესტო წერილებისთვის ან სარევოლუციო პროკლამაციების წერა უიარაღო ხალხისთვის...

ფ. გოგიჩაიშვილი.

კრებების თავისუფლების საკითხი სათათბიროში

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მთელი შეგნებული რუსეთი დიდის გულდასმით უკვირდებოდა იმას, რასაც ლაპარაკობდენ ხალხის წარმომადგენლები სათათბიროში, როდესაც იქ ირჩეოდა კრებების თავისუფლების შესახები კანონპროექტი. ერთის მხრივ თვით ეს საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია ხალხის პოლიტიკურ ცხოვრებისათვის, რომ ამ თავისუფლების შემოუღებლად შეუძლებელი და ყოველივე მნიშვნელობას მოკლებული რჩება ხალხის გამარჯვება ახლანდელ განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მეორეს მხრივ კი ხსენებულ საკითხის გარჩევა სათათბიროში ყველასთვის იმიტომაც იყო საინტერესო, რომ ახლად შემდგარი სათათბიროს ს.-დემოკრატიული ფრაქცია აქ პირველად გამოვიდა ოფიციალურად და ოფიციალურადვე შეება სათათბიროში სხვებზე უფრო ძლიერ კონსტიტუცნალ-დემოკრატების პარტიას. ყველას უნდოდა გაეგო ხსენებულ ფრაქციის საპარლამენტო ძალა, განსაკუთრებით საინტერესო იყო ყველასთვის „კავკასიელ,“ ქართველ სოციალ-დემოკრატების გაცნობა, რადგანაც საქართველო რუსეთის ერთად ერთი მხარეა, რომელმაც სათათბიროს წევრებად მხოლოდ სოციალისტი წარმომადგენლები გაგზავნა, რითაც თითქო მტკიცდებოდა საყოველთაოდ გავრცელებული აზრი, რომ საქართველო რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში მებაირაღტრე და თითქმის მეთაურია. მართლაც, ქართველ სოციალ-დემოკრატების ჩასვლას პეტერბურგში მოჰყვა ახალ საპარლამენტო ფრაქციის დაარსება, რომელმაც თავის დეკლარაციით გამოაცხადა, რომ თავის ტაქტიკას სხვა პარტიებისგან დამოუკიდებლად გაირკვეს და სათათბიროში მომქმედ არც ერთ პარტიას და ჯგუფს არ მიეკედლება.

კრებების თავისუფლების შესახები კანონპროექტი სათათბიროს წარუდგინა პროფესორმა შერშენევიჩმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საჯარო კრებების მოწვევისათვის საზოგადოდ ორნაირი წესი არსებობს: კრების მოწვევის მსურველმა ან შესაფერი ნებართვა უნდა გამოითხოვოს ადმინისტრაციისაგან, ან წანდაწინვე უნდა განუცხადოს მას, რომ ამა თუ იმ ადგილას მოწვეული იქმნება საჯარო კრება, რომ ადმინისტრაციამ წეს-რიგის დასაცავად კრებაზე თავისი წარმომადგენელი გაგზავნოს. პოლიციურ სახელმწიფოში, სადაც ყველა ნაირი თავისუფლება შეზღუდულია, საჯარო კრების მოწვევასაც, რასაკვირველია, წინდაწინვე ნებართვის აღება სჭირია; იქ კი, სადაც ხალხმა მეტი უფლება მოიპოვა სახელმწიფოში, ნებართვის მაგიერად უბრალო განცხადება საკმარისია. პრუსსიასა და ავსტრიაში, მაგ., სადმე შენობაში თუ იქმნა მოწვეული საჯარო კრება, უბრალო განცხადებაც საკმარისია, გარეთ კრების მოწვევისათვის კი წინდაწინვე ნებართვის მიღება არის სავალდებულო. საფრანგეთში ნებართვის აღება საზოგადოდ მოსპობილია და მხოლოდ განცხადება არსებობს; ამ მხრივ საფრანგეთი ინგლისს უახლოვდება. საფრანგეთის კანონებიდან არის გადმოღებული რუსული კანონპროექტიც, განაცხადა შერშენევიჩმა. საჯარო კრების მოსახდენად საკმარისია, თუ კრების მომწვევმა წინდაწინვე განაცხადა ეს გარემოება ადმინისტრაციასთან, რომლისგანაც აღარავითარ ნებართვის მიღება არ არის საჭირო. ეს განცხადებაც საჭიროა მხოლოდ მაშინ, თუ კრება საჯარო არის, ე. ი. თუ მაზე ყველა გარეშეს შეუძლია დასწრება მოუწვეველადაც, და თუ კრება ქალაქ ადგილას ხდება. ქალაქ გარეთ კრების მოსახდენად განცხადებაც არ არის საჭირო. კრებების თავისუფლებამ, განაგრძობა შერშენევიჩი, არ უნდა შეზღუდოს კრებაზე არა დამსწრეთა თავისუფლებაო. ამიტომ საჯარო კრება არ უნდა მოხდეს იქ, სადაც მას შეუძლია ხელი შეუშალოს ქუჩებსა და მოედნებზე ხალხის მიმოსვლას. არ უნდა მოხდეს კრება რკინის გზის ლიანდაგზედაც. არ უნდამოხდეს საჯარო კრება ერთ ვერსტზე უფრო ახლო იმ ადგილთან, სადაც სახელმწიფო სათათბიროს თავისი სხდომა აქვს, ან სადაც იმყოფება ხელმწიფე,—ასეთი აკრძალვა, შერშენევიჩის სიტყვით, ინგლისშიაც არსებობს. საფრანგეთში საღამოს 11 საათზე უფრო გვიან საჯარო კრების მოხდენა აკრძალულია, რუსულ კანონპროექტში კი ეს აკრძალვაც არ არის. კანონპროექტში აღნიშნულია, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელიც უთუოდ თავის ფორმაში უნდა იყოს გამოწყობილი, თვალ-ყურს ადევნებს კრებას და, თუ შენიშნა, რომ კრებას „საშიში ხასიათი“ ეძლევა, საშიში ხალხის მშვიდობიანობისათვის, ვალდებულია ასეთი კრება დახუროს. მე ვესმის, ამბობდა შერშენევიჩი, რომ ჩვენი კანონპროექტის მიღების დროს იმის გარანტიებს მომკითხავენ, რომ ადმინისტრაცია ხალხის სასიკეთოდ გამოიყენებს ამ კანონს. პირველად გვინდოდა თვით კანონისათვის დაგვერთო ეს გარანტიები, მაგრამ შემდეგ ისინი საჭიროდ არ ვსცანით. რა კანონიც უნდა გამოვიგონოთ ადმინისტრაციის ასალაგმავად, იგი ფუჭად დარჩება, თუ თვით ამ ადმინისტრაციის უმაღლესი წარმომადგენლებიც თვითნებობაში აღზრდილნი და თვითნებობას შეჩვეული დარჩენ. არ შეიძლება კრებების თავისუფლება რამე გარანტიებით უზრუნველვჰყოთ იქ, სადაც ძველი წყობილება ჯერ სავსებით მოსპობილი არ არის, სანამ აქ (მინისტრების სავარძლებზე უჩვენებს) ხალხისთვის სანდო პირები არ დასხდებიან. მაგრამ კანონის შემუშავება იმ დრომდის არ უნდა გადავდოთ, როდესაც მინისტრები გამოიცვლებიან, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მათ ბატონობას მალე ბოლო მოეღებაო.

ამ კანონპროექტს ცხარე კრიტიკა გაუწია ახლად შემდგარმა ს.—დემოკრატიის საპარლამენტო ფარქციამ. ქართველ სოციალ—დემოკრატებში ილაპარაკეს ის. რამიშვილმა, ს. ჯაფარიძემ და ნ. ჟორდანიამ. ესენი და ხსენებულ ფარქციის სხვა წევრებიც ამბობდენ, რომ კანონპროექტი მუშა-ხალხისათვის ნაკლებად უზრუნველჰყოფს კრებების თავისუფლებას, რადგანაც მუშებს სადმე სახლებში შეგროვება არ შეუძლიათ და ძალა-უნებურად სწორედ ქუჩებსა და მოედნებზე უხდებად თავის მოყრა, ან რკინის გზის ლიანდაგებზედაც; რომ წინდაწინვე ადმინისტრაციასთან განცხადება მათ არ შეუძლიათ, რადგანაც ხშირად მოულოდნელად უხდებად გაფიცვების დაწყება და თუ დროზე არ მოილაპარაკეს, შეიძლება საქმე იმდენად გამწვავდეს, რომ შემდეგ კაპიტალისტთან მორიგება შეუძლებელიც გახდეს. რაც შეეხება სათათბიროს სხდომებსა და ხელმწიფის ბინაზე ერთის ვერსტის სიშორეს, ს.—დემოკრატიული ფარქცია აცხადებდა, რომ ხალხის ასეთი დაშორება მისდამი უნდობლობას ნიშნავს. ამის მიხედვით სოციალ-დემოკრატები წინადადებას აძლევდენ სათათბიროს წარდგენილ კანონპროექტის მაგიერად მიეღო მათი კანონპროექტი, რომელიც მხოლოდ სამ მუხლისაგან შესდგებოდა: 1) რუსეთის ყველა მოქალაქეთ უფლება აქვთ შეგროვდენ ნება დაურთველადაც ყველგან, სადაც მოისურვებენ. ადმინისტრაციის მხრივ ყოველივე ხელის შეშლა უნდა იკრძალებოდეს და

უნდა მოისპოს ყველა ის არსებული კანონი, რომელიც ზღუდავს კრებების თავისუფლებას. ს.-დემოკრატებს, მათთვისაც მოულოდნელად, მხარი დაუჭირა ცნობილმა პროფესორმა და მეცნიერმა მაქსიმე კოვალევსკიმ, რომელიც ამტკიცებდა, რომ ინგლისის კანონმდებლობაში კრებების თავისუფლება არავითარ პირობებით შეზღუდული არ არის, რომ ასეთივე უსაზღვრო თავისუფლება უნდა გადმოტანილ იქმნას რუსეთში.

კანონპროექტის მომხრე დეპუტატებმა აღნიშნეს კოვალევსკის შეცდომა: ინგლისში კრებების თავისუფლება საზოგადოდ მოხსენებულიც არ არის კანონებში და ამიტომ იქ ამ თავისუფლების შეზღუდვაც მოხსენებული არ არის. მაგრამ ინგლისში ხომ დაწერილი კონსტიტუციაც არ არსებობს და ნუ თუ ჩვენც რუსეთში უნდა უარვჰყოთ დაწერილ, ნათელ და ვარკვეულ კონსტიტუციის საჭიროება. ინგლისში, სადაც ხალხი ათასი წლის განმავლობაში ეჩვეოდა კულტურულ ცხოვრებას, სადაც ყოველ ინგლისელს ძვალსა და რბილში გამჯდარი აქვს წესიერებისა და კანონიერების გრძნობა,— კრებების თავისუფლებას ჰფარავენობს და საზღვრავს ჩვეულება და სასამართლო, და ინგლისის ჩვეულება სწორედ იმას მოითხოვს, რაც რუსულ კანონპროექტში არის მოხსენებული. ინგლისში პოლიციას შეუძლია დაშალოს კრება, როდესაც იგი მშვიდობიანობისთვის საშიში არის, მაშინაც კი, როდესაც თვით კრებაზე დამსწრენი წყნარად არიან, მაგრამ რამე მიზეზის გამო მათგან თავის მოყრა მღელვარებას იწვევს მათს მოწინააღმდეგ ელემენტებში. ინგლისში საფიქრებელიც არ არის რამე კრების მოხდენა რკინის გზის ლიანდაგზე ან იქ, სადაც ხალხის მოსვლა დიდია და კრებას შეუძლია სხვებს, კრებაზე არა დამსწრეთ, ქუჩებსა და მოედნებზე სიარული გაუძნელოს. და რუსეთში ან ეს ჩვეულებები კანონების სახით უნდა გადმოვიტანოთ, ან არ არის საჭირო კანონი და უნდა „გადმოვიტანოთ ინგლისელ ერის კულტურა და საზოგადოებრივი მომზადებაო.

დიდი ხნის და ცხარე კამათის შემდეგ კანონპროექტი სათათბიროს ხმის უმეტესობით მოიწონა და განსაკუთრებულ კომისიას გადასცა, რომელმაც იგი უნდა შეიმუშავოს და ახლად წარადგინოს სათათბიროში, რომელიც მას საბოლოოდ მიიღებს.

ამნაირად ს.-დემოკრატიულ ფრაქციის პროტესტმა უნაყოფოდ ჩაიარა ამ პროექტისათვის,—მაგრამ იგი უნაყოფო არ არის თვით ამ ფრაქციის დასაფასებლად. მცოდნე და გამოცდილ დეპუტატებში ჩვენებურ სოციალ-დემოკრატების გაბედულმა დაურიდებლობამ ყველა გააოცა და თვით იმ კავალევსკის გაზეთში, რომელიც ს.-დემოკრატებს ხსენებულ კითხვაში მიემხრო, ამ ფრაქციის წევრთა შემდეგ დახასიათებას ვკითხულობთ: „რამიშვილი კანონმდებლის როლში საოდავია და ამას, მგონია, თვითონაც გრძნობს. ქართველ სოციალ დემოკრატების სიტყვებში არა სჩანს მათის ქვეყნის საჭიროებათა გაგება. „ბიუროკრატია“, „რეჟიმი“, „ხულიგანები“, „ჯაშუშები“, „განმათავისუფლებელ მოძრაობის ტალღები“, —ეს შაბლონური ფრაზები მხოლოდ მათის მთქმელის სრულ უვიცობას და არარაობას ამტკიცებს. ამ სოციალ-დემოკრატებს წილად ხვდათ ისეთი საქმე, რომელიც მათს ცოდნას და განვითარებას არ შეეფერება,—შინ, თავიანთ სამშობლოში, იმათ უფრო დემაგოგობა სჭირდებოდათ და სოციალიზმის ქადაგება ჯერ კიდევ განუვითარებელ ხალხში. მათ სრულებით არავითარი მომზადება არა აქვთ საკანონმდებლო მოღვაწეობისთვის“.

ან რა უნდა ითქვას იმ დეპუტატებზე, რომელნიც კანონპროექტს ასე უშვრებიან კრიტიკოს: აქ ხალხის უფლებებს მხოლოდ ერთი მუხლი გამოხატავს.—ერთი მუხლი ხალხს, თერთმეტი პოლიციას! აი ამბობს ორატორი იმას, რომ შეიძლება ის ერთი მუხლი თავის შინაარსით უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე დანარჩენი თერთმეტი, რომ კანონში შინაარსს აქვს უმთავრესი მნიშვნელობა და არა მუხლების რაოდენობას. ასეთ კრიტიკას საგიტაციო მიტინგზე, შეიძლება, გასაგები ჰქონდეს, მაგრამ საკანონმდებლო კრებულში, სადაც, ჯაფარიძის თქმისა არ იყოს, სულ პროფესორები და უმაღლეს განათლების მქონე პირები სხედან, სულ ცოტა რომ თქვას ადამიანმა,—სასაცილოა და ამნაირ კრიტიკით ცდილობდა კანონპროექტის დარღვევას... ფრაქციის ლიდერი, თვით ნ. ჟორდანია!

სადაც ლიდერი ასეთ გულუბრყვილო კრიტიკოსობას ვერ ასცდენია, იქ ფრაქციის უბრალო წევრებს და თვით ისიდორე რამიშვილსაც მეტი არ მოეთხოვება.

ერთი სოციალ-დემოკრატი პირდაპირ აცხადებდა, რა საჭიროა ჩვენთვის დასავლეთ ევროპის მაგალითები,—დასავლეთ ევროპის ხალხებისაგან კი არ უნდა ვისწავლოთ იქაური წესები, პირიქით, ჩვენ უნდა ვასწავლოთ მათ, თუ როგორი უნდა იყოს თავისუფლება, მსოფლიო განმათავისუფლებელ მოძრაობის სათავეში უნდა დავდგეთო.

განსაკუთრებით სახელი გაითქვა ხსენებულ კამათის დროს ისიდორე რამიშვილმა, რომელმაც ორი გრძელი სიტყვა წარმოსთქვა და ბოლოს თავის დაუსრულებელ უსაფუძვლო ლაპარაკით ისე მოაბეზრა თავი სათათბიროს, რომ სათათბიროს წევრებმა „კმარა! კმარა!“-ს ძახილით შეაწყვეტინეს მას დაუსრულებელი სიტყვა.

რას ამბობდა რამიშვილი? ან რას არ ამბობდა იგი!? მის სიტყვების გადმოცემა შემოკლებით ძნელია, რადგანაც მათ ლოღიკურ მსჯელობის ძაფი აკლიათ. რამიშვილმა თავისი თავი მიტინგზე წარმოიდგინა, და აი სათათბიროში იგი ლაპარაკობს იმაზე, რომ ორი რუსეთი არსებობს,—თავისუფალი და დაჩაგრული, ლაპარაკობს რუსეთის განახლებაზე, პარლამენტს უხსნის, რომ პოლიცია და კაზაკები ხალხს შეკრების ნებას არ აძლევენ, მაგრამ კაზაკების ძალმომრეობის ნამდვილი მიზეზი თვით კრებების თავისუფლების არ არსებობაა.

თქვენ გინდათ 1 ვერსტით დააშოროთ ხალხს სათათბირო, ამბობს რამიშვილი. კანონპროექტით თქვენ იშორებთ ხალხს, იმ ხალხს, რომელმაც თქვენ აგირჩიათ და რომელიც განსაცდელის დროს თქვენ გადაგარჩენსთ. კანონპროექტის შემდგენელნი ძალიან მშვიდობიანად მსჯელობენ და თავისუფალ სახელმწიფოებზე გვითითებენ. კანონპროექტის შემდგენელნო, აქ თქვენი ხოცვა თუ დაიწყეს,—და ეს კი ყველანაშნებით მოსალოდნელია,—ვისგან მოელით ხსნას, —თქვენი დამხოცველებისგან თუ ხალხისგან, რომელმაც ეს კარები გაადო და თქვენ შემოგიშვათ აქ, რომელიც შემდეგშიაც თანამედროვე წყობილებასთან ბრძოლაში თქვენ მხარს დაგიჭერთ? არა, თქვენ რაც გინდათ იფიქრეთ, მეკი მგონია, რომ ხალხი უფრო ახლო უნდა მოვუშვათ. ამის შემდეგ რამიშვილი ისევ თავის ფრაქციას დაუბრუნდა და მისი ქება დაიწყო. ბოლოს მან საჭიროდ სცნო: კანონპროექტის უკანასკნელი მუხლები უნდა მოისპოს და ხალხს მიენიჭოს უფლება შეგროვდეს ყველგან, რკინის გზის ლიანდაგთან, ქუჩებსა და მოედნებზედაც.

პროფ. გრედესკულმა რამიშვილს ანარქისტი უწოდა,— თქვენი შეხედულება ანარქისტული არის და არა სოციალ-დემოკრატიულია. მართლაც, მხოლოდ ანარქიზმი უარჰყოფს ადმინისტრაციის არსებობას და ყოველგვარ კანონებს, რომელიც ერთ ადამიანის თავისუფლებას გ.ნსაზღვრავს იმისთვის, რომ ამით სხვების თავისუფლებაც უზრუნველყოფილი იყოს.

ᲬᲐᲠᲗᲚᲐᲪ, მხოლოდ იმისი გამოცხადება, რომ „ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს“, ნამდვილი თავისუფლების დასამყარებლად საკმარისი არ არის. თავს ხომ ვერ მოვიტყუებთ და ვერ ვიტყვით, რომ მთელი რუსეთის ხალხი თანასწორად შეგნებულია, როგორც ეს რამიშვილს ჰგონია. შეგნებულია, განა, ის ელემენტები, რომელთაც თვით სოციალ-დემოკრატები შავრაზმელებს ეძახიან და ამ შავრაზმელთა რიცხვში ხომ არა მარტო მუშები და სოფლელები, ხშირად თვით სწავლა დასრულებული ინტელიგენტებიც არიან. როგორ მოვექცეთ იმათ, ვინც ებრაელებს არბევს და ხოცავს?

„თქვენ ჰკიცხავთ წარდგენილ კანონპროექტს და მას პოლიციურს ეძახით, სთქვა ერთმა ორატორმა, თქვენ არ მოგწონთ, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენელს უფლება ეძლევა დაშალოს კრება, თუ იგი საზოგადო მშვიდობიანობისთვის საშიში გახდა. თქვენ გინდათ, რომ ადმინისტრაციას არავითარ კრების დაშლა არ შეეძლოს, მაგრამ გაიხსენეთ კიშინევის, გომელის, ოდესის, ან ტვერის და თუნდაც ახლანდელი ბელოსტოკის ამბები. ყველგან ხალხი, ხულიგანები, თავისუფლად იკრიბებოდენ და პოლიცია მათს კრებებს არ შლიდა, როდესაც კრებაზე დამსწრე პირები ხალხს ებრაელების და მემარცხნეთა დასარბევად იწვევდენ. შედეგი ყველამ ვიცით და, აი, თქვენ გინდათ, რომ ასეთი „თავისუფლება“ შემდეგაც იყოს. ჩვენ ვხედავთ იმ წესის ნაყოფს, რომელსაც გვირჩევთ“.

რაც შეეხება სათათბიროსთან ხალხის შეკრებას,—განაგრძო გრედესკულმა აქაც თქვენი საბუთები ყალბია. რევოლუციის დროს, როდესაც მთავრობა სათათბიროს განდევნას ლამობს, იგივე მთავრობა სათათბიროს გვერდით თავშეყრილ მიტინგსაც გარეკავს, და ხალხს მთავრობის საწინააღმდეგოდ, აშკარა ბრძოლისთვის თუ საკმარისი ძალა აღმოაჩნდა, საჭიროების დროს, იგი უმიტინგოდაც მოახერხებს სათათბიროსთან მოსვლას დეპუტატების დასახსნელად მაგრამ კანონები სარევოლუციო ხანისთვის არ იწერება. ჩვეულებრივ დროს კი სათათბიროსთან მიტინგების მოწვევა მხოლოდ ხელს შეუშლის სუსტ დეპუტატების საღ მსჯელობას და მათ გადაწყვეტილებაზე რამე გავლენას იქონიებს. და რაკი ღღეს შეიძლება ერთი მიმართულების ელემენტებმა გამართონ მიტინგი, ხვალ კიდევ მოწინააღმდეგეებმა, ამიტომ სასურველია საზოგადოდ ხალხის ამა თუ ჯგუფის გავლენის გარეშე დავტოვოთ დეპუტატები, როგორც ნაფიც მსაჯულებსაც საქმის გადაწყვეტის დროს ცალკე ოთახში აჩერებენ იმისთვის, რომ მათ გარეშე გავლენა ჩამოაშორონ.

რაც შეეხება რკინის გზის ლიანდაგზე შეკრების აკრძალვას, რომელიც ს.-დემოკრატებმა რკინის გზის მუშათა მიტინგების აკრძალვად მიიჩნიეს, ᲛᲔᲡ გაუგებრობაა, რადგანაც ამ მიტინგების ხელის შეშლა არავის აზრადაც არ მოსვლია. ლიანდაგზე შეკრება კი არა, – სიარულიც აკრძალულია ყველა განათლებულ ქვეყნებში.

ყოველი კრება ხალხის ჩვეულებრივ და წესიერ ცხოვრების დაურღვეველად უნდა მოხდეს და ამიტომ ყოველი ყრილობა, რომელიც ქუჩებში ხალხის მიმოსვლას შეუძლებლად ხდის ან აძნელებს, შეუწყნარებელია. ყოველმა ადამიანმა თავის უფლებით ისე უნდა ისარგებლოს, რომ ხელი არ შეუშალოს სხვების თავისუფლებას.

ზოგიერთები აცხადებენ, რომ წინდაწინვე საჯარო კრების მოწვევის შესახებ ადმინისტრაციასთან განცხადება შეუძლებლად ხდის მუშების კრებებს, როდესაც მათ ალასთან რამე უკმაყოფილება აქვთ, და ერთმანეთში უნდა მოიალაპარაკონო. მაგრამ ამის მოქმელთ ავიწყდებათ, რომ ასეთი მოლაპარაკება კერძო და არა საჯარო კრებაა, რომ ყოველი კერძო კრება სრულებით თავისუფალია და რომ კანონპროექტი შეეხება მხოლოდ საჯარო კრებებს, იმ კრებებს, რომელსაც წინდაწინვე იწვევენ, რომლისთვისაც ორატორები წინდაწინვე ემზადებიან,—ამ კრებების შესახებ განცხადების შემოტანა არავის არ გაუძნელდებაო.

ს.-დემოკრატიულ ფრაქციისაგან კანონპროექტის კრიტიკა, განაცხადა ერთმა ორატორმა, გამოწვეულია არა საქმის გაკეთების სურვილით, არამედ იმ განზრახვით, რომ თავის ზედმეტ რადიკალობით მემარცხნეებზე უფრო მემარცხენენი გამოდგენ.

მართლაც სათათბიროს მემარცხენენი, — მშრომელთა ჯგუფი წარდგენილ კანონპროექტზე თითქმის არაფერს არ აბმობდენ. თვით ისეთი მემარცხენე დეპუტატები, როგორიც არიან ალადინი, ანიკინი, ჟილკინი, მიხაილიჩენკო—სდუმდენ, როდესაც ს. – დემოკრატები და განსაკუთრებით ქართველი სოციალ დემოკრატები წელებზე ფეხს იდგამდენ და ცდილობდენ ხალხისთვის „ნამდვილი“ თავისუფლება მიეცათ. უნდა ვიფიქროთ, რომ ისეთი მხნე და გამოცდილი ორატორი, როგორიც ლადინია, რომელიც ყოველ სხდომაზე ლაპარაკობს და მედგრად იცავს ხალხის თავისუფლებას, რომელმაც ამ მხრივ გარკვეული სახელი დაიმსახურა, აქაც არ გაჩუმდებოდა გვერდში ამოუდგებოდა ს.-დემოკრატებს, და თავის ლაპარაკით მეტ მნიშვნელობას მისცემდა ს.-დემოკრატების ნალაპარაკევს,—მისი თანაგრძნობა ს.-დემოკრატების ანარქისტულ პროექტისაკენ რომ ყოფილიყო.

მშრომელთა ჯგუფი სდუმდა, და ამ დუმილით წარდგენილ კანონპროექტის თანაგრძნობას უცხადებდა, არ სდუმან მხოლოდ ს.-დემოკრატიული გაზეთები: მათ დიდის ზეიმით და ქებით დაბეჭდეს რამიშვილის და დანარჩენ ამხანაგების სიტყვები. მათ მოსწონთ ამხანაგ-დეპუტატების რადიკალობა, მათ უნდათ ამ რადიკალობით დაიბრუნონ რუსეთში დაკარგული პოზიციები, ყვავისა და მის ბახალასი არ იყოს, მათ მოსწონთ ამ დეპუტატების ნალაპარაკევი. ან როგორ არ უნდა მოიწონონ, როდესაც ესენი არიან მთელი პარტიის ოფიციალი წარმომადგენლები სათათბიროში!.. და თუმცა, მ. კოვალევსკის გაზეთის სიტყვით, ისინი „შესაბრალისნი არიან კანონმდებლის როლში“, მაგრამ ამას თვით პარტიაც როგორ განიმეორებს!.. უკიდურეს რადიკალიზმს ხალხში ხომ გასავალი აქვს, ჩვენში განსაკუთრებით,—და არ სჯობია ეს რადიკალიზმი პარტიამ ხალხის ნამდვილ ქომაგობად გამოიყვანოს და ყველა დააჯეროს, მხოლოდ ერთად ერთი „სრულიად რუსეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტია“ არის ქვეყნის მხსნელი და აღმშენებელია. ეგება ვინმემ ამ დეპუტატების

პოლიტიკური უსუსურობა და მოუმზდებლობა ვერ შენიშნოს და პარტიისგან მათი ქება სიმართლედ მიიღოს!

კ. ს.

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ

ჟურნალისტებს ძალიან უყვართ სახელგანთქმულ კაცების ინტერვიუ. ავიდა თუ არა „ჩვენი“ დეპუტატი წერეთელი პეტერბურგში, მას „XX ვეკის“ თანამშრომელი დახვდა და გამოელაპარაკა. წერეთელმა ყველაზე უწინ, რასაკვირველია, ის განაცხადა, რომ საპარლამენტო სოც. დემოკრატიული ფრაქცია, რომელსაც ის ეკუთვნის, მშრომელთა ჯგუფის მარცხნივ დაიჭერს ადგილს. „ბევრ საკითხში მშრომელ ჯგუფს დავუჭერთ მხარს,—განაცხადა შემდეგ წერეთელმა,—იქნება კადეტებსაც დავუჭიროთ მხარი და მზად ვართ „უფლებრივ წესწყობილების პარტიასაც“, (რომელსაც, ის. რამიშვილისა არ იყოს „მდაბიო ენაზე ხულიგანური პარტია ეწოდება“) „ამოვუდგეთ გვერდში, თუ ეს პარტია დაგვეთანხმება რამეში.“ სრული ქეშმარიტება ბრძანა „ჩვენმა“ დეპუტატმა. „უფლებრივ წესწყობილების“ პარტია ბევრჯელ და მრავალ საკითხში დაეთანხმება სოც-დემოკრატიას. ამას ისევ წერეთლის სიტყვები ამტკიცებს. აი, ინებეთ: კავკასიის შესახებ წერეთელმა სთქვა: „ჩვენში მრავალი ეროვნება ცხოვრობს, რომელნიც იმდენად დაფანტულნი და არეულნი არიან ერთმანეთში, რომ შეუძლებელია ცალკე ავტონომიურ ოლქების შექმნა, რადგან ყველგან უმცირესი ერებიც იქნებიან“. სამაგიეროდ წერეთელი გვპირდება, რომ „ყოველ სოფელში იქნება სკოლა, სადაც სწავლა ადგილობრივ ენაზე იწარმოებსო“. სხვა ერების შესახებ „ამხანაგი“ წერეთელი ასეთ აზრისა ყოფილა: „საზოგადოდ ჩვენ გვწამს, რომ ყოველ ეროვნებას უნდა ჰქონდეს უფლება თვითგამორკვევისა, მაგრამ კავკასიისთვის ჩვენ არ გვინდა ავტონომია. ამ მხრით ჩვენ ავტონომისტებს მხარს არ ვუჭერთ, მაგრამ მთელი ჩვენი ძალღონით მხარს დავუჭერთ პოლონელებს. მთელმა კავკასიამ იცის, რომ პოლონელებს ავტონომია ესაჭიროებათ და ამის შესახებ ჩვენი გლეხებიც კი ლაპარაკობდენ. ჩვენ მათ მხარეზე ვართ და დახმარებას გავუწევთო“.

სწორედ ასე ულაპარაკნია ბ-ნ წერეთელს. როგორც ხედავთ „ჩვენი“ დეპუტატის აზრით, შეუძლებელია საქართველოს ავტონომია მიენიჭოს, რადგან საქართველოში უმცირესობა დაიჩაგრებაო. კეთილი და პატიოსანი. მაგრამ რა გამოდის აქედან? ის რომ „ამხანაგი“ დეპუტატები უმეტესობის—ქართველების—ინტერესებს მსხვერპლად სწირავენ უმცირესობის ინტერესებს და იმას კი არ ამჩნევენ, რომ ამით ისინი ღალატობენ სოც. დემოკრატიის პრინციპს, რომელსაც სახელად უმრავლესობის დაცვა ჰქვიან. ეს ერთი. ამავე დროს ისინი ემხრობიან პოლონეთის ავტონომიას და უცებ ავიწყდებათ უმცირესობის ინტერესების დაცვა. მათი ნალაპარაკევიდან ჩანს, რომ მათი აზრით პოლონეთში უმცირესობა (სხვა ერები) უფრო მცირე პროცენტს შეადგენს, ვიდრე ასეთივე უმცირესობა საქართველოში. ბ-ნ წერეთელს ეს აზრი მაშინ რომ გამოეთქვა, როცა სოფლის მღვდელი ბრძანდებოდა, საკვირველი არ იქნებოდა, რადგან სოფელში ძნელი საშოვარია ისეთი წიგნები, სადაც აღნიშნულ აზრის სიყალბის დამამტკიცებელი სტატისტიკა მოიპოვება. მაგრამ ასეთი უვიცობა არ ეპატიება პეტერბურგში, სადაც მრავალი საუცხოო და უმდიდრესი ბიბლიოთეკებია. ან იქნება მისთვის სტატისტიკა მეტი ბარგია? ეტყობა, ვინაიდან ასე რომ არ იყოს ბ-ნ წერეთელს ადვილად შეეძლო საქართველოსა და პოლონეთის ერთმანეთთან შედარება სტატისტიკურად მათში მცხოვრებ ეროვნებათა რაოდენობის მხრით.

ოფიციალურ სტატისტიკით მეოთხმოცდაათე წლების დამლევს პოლონეთში ცხოვრობდა 9,475 ათასი მცხოვრები. აქედან პოლონელი იყო 6,650 ათასი, ხოლო დანარჩენი ერები შეადგენდენ 2,825 ათასს. პროცენტობით რომ ვიანგარიშოთ, ასეთ ციფრებს მივიღებთ: პოლონეთში პოლონელები შეადგენენ 57,7%-ს დანარჩენი ერები კი—42,3%-ს. ეხლა მობრძანდით საქართველოში. 1897 წელს საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდა 2,110 ათასი მცხოვრები; აქედან ქუთაისის გუბერნიაში იყო 1,058 ათასი. მათ შორის ქართველი იყო 835 ათასი ე. ი. 81,61%, ხოლო დანარჩენი ერები შეადგენდენ 18,39%. ტფილისის გუბერნიაში იყო 1,051 ათასი. მათ შორის ქართველები შეადგენდენ 44,3%-ს. საერთოდ ორივე გუბერნიაში ქართველები შეადგენენ 62,4%. (პოლონელები კი პოლონეთში 57,5%.) მაგრამ ჩამოაშორეთ ჩაქართველოს ბორჩალოსი, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, რომელნიც უმრავლესად სომხებით და თათრებით არიან დასახლებული და ინახავთ, რომ საქართველოში ქართველები 70-75%-ს შეადგენენ. აქედან დასკვნა: თუ მარტო უმცირესობის ინტერესს იცავს „ჩვენი“ დეპუტატი წერეთელი, მაშინ პოლონეთს უფრო ადრე უნდა უთხრას უარი, მაგრამ თუ ავტონომიას მხოლოდ იმ ოლქებს ანიჭებს, სადაც ერთი ერი გაცილებით სჭარბობს სხვა ერებს (ე. ი. თუ იგივე დეპუტატი სოც.-დემოკრატიულ „უმრავლესობის პრინციპს“ არ ღალატობს), მაშინ ყველაზე ადრე ქართველებს უნდა „უბოძოს“ ავტონომია. ის და მისი „ამხანაგები“ უეჭველია იტყვიან: ქართველები ავტონომიურ საქართველოში სხვა ერებს დასჩაგრავენო. მაგრამ თუ ეს ხიფათი მოსალოდნელია საქართველოში, რატომ მაგასვე არ ამბობენ პოლონეთის შესახებ, სადაც 1,225,000 ებრაელია, 1050,000—რუსი, 300 000—ლიტველი და 250,000—გერმანელი? ან იქნება ისევ ის სჯობია, რომ ერთ მუჭა ოსებსა, სომხებსა, ებრაელებსა და ლიტველებთან ერთად ქართველებიც და პოლონელებიც დაიჩაგრონ? სოციალდემოკრატებმა რომ ასე დააყენონ საკითხი, საკვირველი არ იქნება, მაგრამ მაშინ ამავე პრინციპის ძალით იმათ უნდა მოითხოვონ, რომ რუსეთი ჩინეთს დაემორჩილოს. ამ შემთხვევაში სავსებით განხორციელდება უმრავლესობის უფლება.

მაგრამ ბ-ნი წერეთელი ხომ ლოგიკას და პრინციპებს არ მისდევს! ის და მისი ამხანაგები მხოლოდ იმას ასრულებენ, რასაც ცენტრალური კომიტეტი უბრძანებს!

*
* *

ჩვენი ქვეყანა გაივსო ისეთ პოლიტიკოსებით, რომელთაც თავიანთი ლაპარაკი თვითონაც არ სჯერათ და სხვებს რაღაცას უმტკიცებენ. რუსეთ-იაპონიის ომის დროს „მოსკ. ვედ.“, „ნოვ. ვრემიასა“ და ძმათა მათთა თვითონაც აღარ სჯეროდათ, რომ იაპონელების დამარცხება შეიძლებოდა, მაგრამ მაინც ყვიროდენ და ქვეყანას უმტკიცებდენ, რომ დღეს თუ ხვალ კუროპატკინი ტოკიოს ნანგრევებზე მოაწერს ხელს ზავის ქაღალდსაო. არც ჩვენ გვაკლია ასეთი ბეცი სტრატეგები. აი ერთი ტიპი ასეთ სარდლისა, რომელიც თავის შორს მჭვრეტელობითა და ძალთა განწყობილების ანგარიშით არა-

ფრით არ განირჩევა ხლესტაკოვისგან: თავის თავსაც ატყუებს და სხვებსაც არწმუნებს, რომ:

„დღეს რუსეთი სწრაფი ნაბიჯით უახლოვდება დემოკრატიულ რესპუბლიკას. თითქმის დანამდვილებით (დახეთ!) შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ის დიადი რევოლუცია, რომელსაც განიცდის ჩვენი ქვეყანა, ის დიადი რევოლუცია, რომელსაც ხელმძღვანელობს გლეხობის და წვრილი ბურჟუაზიის თანაგრძნობით აღჭურვილი პროლეტარიატი. (ე. ი. სოც. დემ.), დემოკრატიულ რესპუბლიკის დამყარებით დამთავრდება.“ („ახალი ცხოვრება“ № 2) აქ ორნაირი სიცრუეა. ერთი სიცრუე იმაში მდგომარეობს, რომ წერილის ავტორი სოც.-დემოკრატი, შეგნებულად თუ შეუგნებლად, იმდენად აჭარბებს რესპუბლიკის მნიშვნელობას, რომ მზად არის მას თავის საბოლოო მიზანი — სოციალიზმიც კი შესწიროს მსხვერპლად. მეორე სიცრუე იმაში მდგომარეობს, ვითომ „დღეს რუსეთი სწრაფი ნაბიჯით უახლოვდება დემოკრატიულ რესპუბლიკას“ და დღევანდელი რევოლუცია უეჭველად „დემოკრატიულ რესპუბლიკის დამყარებით დამთავრდება“. სხვამ რაც უნდა თქვას, ხოლო მე იმ აზრისა ვარ, რომ ამ სტრიქონების დამწერი ან მოვარეულან არის ჩამოსული, ან განზრახ ცალობს, ან მცხეთას იქით ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს და თავის ცხვირს იქით ვერაფერს ხედავს.

ზემოხსენებული წერილი ეროვნულ საკითხზეა დაწერილი და მისი ავტორი სერიოზულად ამტკიცებს, ვითომ „იქ, სადაც დემოკრატიული რესპუბლიკა არსებობს, ეროვნული ჩაგვრა მინიმუმამდეა მისული“ და მაგალითად მოჰყავს შვეიცარია, სადაც „ეროვნულ ჩაგვრას თითქმის სულ არ აქვს ადგილი“. აი როგორ ბნიან ისტორიას ეკონომიურ მატერიალიზმის მოძღვრების მომხრენი! შვეიცარიაში იმიტომ არ არსებობს ეროვნული ჩაგვრა, რომ იქ რესპუბლიკაა! ამ სტრიქონების დამწერი ეტყობა, შაურიან ბროშურებითა და პროკლამაციებით არის აღზრდილი, თორემ ისტორიაში რომ ჩაეხედნა დაინახავდა, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა საფრანგეთი, მაგალითად, ისევე სჩაგრავს ალჟირელ არაბებს, როგორც ოსპალეთი—სომხებს. გაზ. „ახალ ცხოვრების“ „მეუერალმა“ იცის მხოლოდ სახელი „რესპუბლიკა“ და ფიქრადაც არ მოსდის, თუ რაიმე განსხვავება არსებობს შვეიცარიასა და ცენტრალისტურ „დემოკრატიულ რესპუბლიკას“ შორის.

ზემოხსენებულ წერილის ავტორს იმედი აქვს, რომ „იქ, (ე. ი. დემოკრატიულ რესეუბლიკაში), სადაც მსხვილ ბურჟუაზიას ფრთები აქვს შეკვეცილი, ეროვნების პოლიტიკური უფლებები საკმაოდ უზრუნველყოფილია“. ჯერ ერთი, სად მიჩქმალა ამ სოც.-დემოკრატმა კონცენტრაციის თეორია თუ იმავე დროს ის მომხრეა მსხვილ ბურჟუაზიის ფრთების შეკვეცისა? ან ნეტა რომელ „დემოკრატიულ რესპუბლიკაში“ აქვს მსხვილ ბურჟუაზიას „ფრთები შეკვეცილი“? საფრანგეთში, ან ამერიკაში? მაგრამ შეცდომას და უმეცრებას კიდევ ჯანი გავარდეს. ავტორი ირწმუნება, რომ „რუსეთი დემოკრატიის გზაზე ბევრად უფრო შორს წავა, ვიდრე შვეიცარიის რესპუბლიკაო“. სერიოზულად ვამტკიცებ, რომ ეს ადამიანი დღემდის მთვარეზე ცხოვრობდა, ან — პირიქით — მთვარეზე ასვლას ცდილობს.

მაგრამ, ევრიკა! მიზეზი ასეთ ჯამბაზობისა თვითონ ავტორმა გამოგვიმჟღავნა: „შემოკრბით პროლეტარიატის დროშის ქვეშო!“ თქვე კაი კაცო, ბარემ თავიდანვე მაგ დევიზით დაიწყებდით წერილს, თორემ ჯერ მკითხველს აწვალებთ ულოღიკობით, უმეცრებით, სიყალბით და მერე ეუბნებით, პროლეტარიატის დროშის ქვეშ შემოკრბითო!

უცნაურ ავტორის მიერ მორთმეული ნობათი მე მაინც საბოლოოდ შევუნახე მკითხველებს:

„ისინი, ვინც ტერიტორიულ ავტონომიას ითხოვენ,— სწერს იგი, — ჩვენი ქვეყნის ბედს კულტუროსან (?!?) რუსეთს აშორებენ და ველურ აზიას უკავშირებენ. ამიტომ ამ რეაქციონურ მოთხოვნას შეგნებულმა (? ი) პროლეტარიატმა (ი) ყოველი ღონისძიებით უნდა შეებრძოლოს “

გესმით? „კულტუროსან რუსეთს აშორებენო!“ თურმე რუსეთი კულტუროსანი ქვეყანა ყოფილა და ჩვენ კი, უმადური უკულტუროსნები, მას უკულტურობას ვაბრალებდით! მაშ თუ მთავარიდან მობრძანებული სტუმარი იმის მომხრეა, რომ ჩვენი ქვეყანა კულტუროსან ქვეყანას დავუკავშიროთ, იმის მომხრეც უნდა იყოს, რომ რუსეთის მაგივრად „კულტუროსან ინგლისს მივეკედლოთ. ასეა თუ არა, ბ-ნო სტუმარო! თქვენს ლოღიკას რომ გავყვეთ, ჩვენ იქამდის მივალთ, რომ უნდა გავამართლოთ „კულტუროსან“ გერმანიის მიერ უკულტურო ჰერეროებისა და სხვა ხალხების დაპყრობა, უნდა გავამართლოთ ინგლისი, რომელმაც უკულტურო ბურები დაიმორჩილა, გავამართლოთ კულტუროსანი ევროპა, რომელიც ჩინეთს გაყოფას უპირობს, უნდა გავამართლოთ ევროპიელი კულტურტრეგერები, რომელთაც კულტურა შეაქვთ ველურ აზიაში.

ერთი რუსული ანდაზა ამბობს: თუ ღმერთს სურს დასაჯოს ვინმე, მას ყველაზე უწინ გონებას წაართმევსო. ასე გახლავთ, „კულტუროსან“ რუსეთის „კულტუროსანო“ მოტრფიალევ!

ა—ლი.

ავტონომია, ფედერაცია და ეროვნული საკითხი.*)

საოლქო ავტონომიის პირველი დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ მისი კანონმდებლობა დამოუკიდებელი არ არის. საოლქო სეიმის მიერ გამოცემულ ყოველ კანონს მხოლოდ მაშინ ეძლევა ძალა, როცა იგი დამტკიცებული იქნება ცენტრალურ მთავრობის წარმომადგენლის მიერ. ადგილობრივი კანონმდებლობა დამყარებულია პროვინციალურ ორგანოებისა და ცენტრალურ მთავრობის ურთიერთობაზე. მაგალითად, ავსტრიაში საზოგადო და ადგილობრივ კანონებს აცხადებს იმპერატორი მაგრამ საზოგადო კანონები მან უნდა გამოსცეს იმპერიის პარლამენტის თანხმობით, ადგილობრივი-კი საოლქო სეიმის თანხმობით. მეორე დამახასიათებელი თვისება საოლქო ავტონომიისა ის არის, რომ მისი ადმინისტრაციაც დამოუკიდებელი არ არის. მაგალითად, კანადის სამოქალაქო და სამხედრო მმართველობას სათავეში უდგია ინგლისის მეფის მიერ დანიშნული გენ.-გუბერნატორი, რომელიც თვითონ ნიშნავს კანადის მინისტრებს. იგივე ცენტრალური მთავრობა ნიშნავს მოსამართლეებს, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ მას არ შეუძლიან მათი გამოცვლა.

ადგილობრივ კანონმდებლობის დამოკიდებულების იდეა მოქმედობს აგრეთვე დამფუძნებელ მმართველობის უფლებაზედაც. ყოველ ფედერალურ კონსტიტუციაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ შეკავშირებულ სახელმწიფოებს უფლება აქვთ თვითონვე მოაწყონ თავიანთი საქმეები და შეჰქმნან

*) დასასრული. იხ. „ივერია“ № 17.

ცალკე კონსტიტუციები, ხოლო იმ პირობით კი, რომ ამით არ დაირღვევს ძირითადი საფედერაციო კანონები. პრუსიამ რომ მოინდომოს საყოველთაო არჩევნების შემოღება, ის მოვალე არ არის საამისო ნებართვა სთხოვოს კავშირის საბჭოს. ამიტომ ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ „ავტონომიურ ოლქის დამახასიათებელი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ ამ ოლქის მართვა-გამგეობა არის საურთიერთო მოქმედება სახელმწიფო მმართველობასა და მას შორის“ (ელლინეკი). ამ რიგად, ავტონომიასა და ფედერაციას შორის არსებული განსხვავება დამყარებულია არა მატერიალურ თვისებაზე (მაგალითად, ადგილობრივ დაწესებულებათა უფლებების სიფართოვეზე), არამედ ფორმალურ თვისებაზე.

სანამ გადავიდოდეთ ავტონომიის სხვა და სხვა ტიპებზე და ფორმებზე, რამდენიმე სიტყვას ვიტყვით იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ეროვნულ უმცირესობის უფლებათა დაცვა იმ შტატებსა და ავტონომიურ ოლქებში, სადაც რამდენიმე ეროვნება ცხოვრობს ერთად. ზევით უკვე მოვიხსენიეთ ის ზომები, რომლებითაც შეიძლება უმცირესობის უფლებათა დაცვა ადმინისტრაციასა და სკოლებში, ამიტომ ახლა გავარჩევთ პოლიტიკურ წარმომადგენლობის უფლებას. ავსტრიის მაგალითი ცხადად ამტკიცებს, რომ წარმომადგენლობის ამა თუ იმ სისტემით ადვილად შეიძლება ერთი ერი მეორე ერს დაუმორჩილდეს. ქონებრივ ცენზის შემოღება ხელსაყრელია მხოლოდ იმ ერისთვის, რომელსაც უფრო ძლიერი ბურჟუაზიული კლასი ჰყავს. საყოველთაო არჩევანი, რასაკვირველია, სპობს ამ უსამართლობას, მაგრამ ყველაზე სამართლიანი წარმომადგენლობა მაინც პროპორციონალური წარმომადგენლობაა, რომელიც იმდენ დეპუტატს ანიჭებს ყოველ ერს, რამდენიც ერგება მის რაოდენობას. ავიღოთ მაგალითი. ვთქვათ, რომელიმე ოლქში ცხოვრობს 50 ათასი გერმანელი, 30 ათასი პოლონელი და 10 ათასი ჩეხი. ვთქვათ, ყოველი ათი ათასი მცხოვრები ერთ დეპუტატს ირჩევს. ჩვეულებრივ სისტემის მეოხებით ამ შემთხვევაში ყველა დეპუტატები მხოლოდ გერმანელებს ერგებათ, რადგან ისინი აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენენ. პროპორციონალურ სისტემით ყველა ეროვნება ცალკე ირჩევს დეპუტატებს. ამ შემთხვევაში გერმანელები აირჩევენ 5 დეპუტატს, პოლონელები-3-ს, ჩეხები-1-ს. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ წარმომადგენლობის ორგანიზაცია მეტად ძნელია, მას მომავალში მაინც დიდი როლი ექნება. ჯერ ჯეროპით კი ასეთი წარმომადგენლობა განსახორციელებელია ზოგიერთ დაწესებულებაში, მაგალითად—ავსტრიის სოც. დემოკრატიულ პარტიაში, რომელიც დამყარებულია პროპორციონალურ წარმომადგენლობაზე ეროვნულ პრინციპით და არა ტერიტორიულ პრინციპით, როგორც სხვაგან არის.

ეხლა განვიხილოთ ოლქების ურთიერთობა ბრიტანიის იმპერიაში.

ინგლისის მთავრობამ ერთხელ და სამუდამოდ ხელი აიღო იმ აზრზე, ვითომ აქაო და ესა თუ ის ოლქი ძალით არის დაპყრობილი, ამიტომ მას არ უნდა მიეცეს დამოუკიდებელ ცხოვრების უფლება და იგი გადაიქცეს მეტროპოლიის ყმადაო. ადგილობრივ ავტონომიას ინგლისის მთავრობა ისე კი არ უყურებს, როგორც ნაძალადევ დათმობას, არამედ როგორც ოლქის უფლებას და სურვილს სხვებმაც ისე მოაწყონ თავიანთი შინაური ცხოვრება, როგორც თვითონ ინგლისელებმა მოაწყეს თავისთვის. ამრიგად ცენტრისა და კოლონიების ურთიერთობა დამყარებულია ურთიერთის ნდობაზე. ქვეყნიერობის ცხოვრებაში ინგლისს კულტურტრეგერის როლი ეკუთვნის. იგი არა ჰგავს ძველებურ რომს, რომელმაც მთელ ქვეყანას კლანჭები ჩაავლო და მხოლოდ დაპყრობილ ქვეყნების ხარჯზე იკვებებოდა. განათლებული აბსოლუტიზმი ინგლისის კოლონიებში იმ დრომდის არის გაბატონებული, სანამ ხალხის კულტურული განვითარება, სოციალური და საერთაშორისო ურთიერთობა და საზოგადოდ იმ ოლქის სულიერი და ქონებრივი პირობები არ მოითხოვენ იმ ოლქის შინაურ დამოუკიდებლობას და თვითმართველობას. კანადასა და კაპის კოლონიებს დიდი ხანია მინიჭებული აქვთ თვითმმართველობა. 1900 წელს იგი ინგლისის ავტონომიურმა კოლონიამ, ავსტრალიამაც მიიღო, რომელიც თავის ნებით ფედერატიულად მოეწყო. ავსტრალიის ფედერაცია თავისუფლად შესდგა. პირველადელი პროექტი ფედერაციისა უარჰყო ორმა შტატმა, მაგრამ როცა ეს პროექტი გადაკეთეს, იგი მიღებულ იქნა. ასეთმა ფართო თავისუფლებამ და დამოუკიდებლობამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ ავსტრალია, სადაც რამდენიმე წლის წინად კატორღელებს ჰგზავნიდენ დასასჯელად, მცირე ხნის განმავლობაში გადაიქცა გაფურჩქვნილ და უმდიდრეს ქვეყნად, რომელიც თავის სოციალურ კანონმდებლობით და დემოკრატიულ წეს-წყობილებით მთელ ქვეყანას აკვირვებს 1900 წელს ინგლისის პარლამენტის მიერ დამტკიცებულ კონსტიტუციაში თავიდან ბოლომდის გატარებულია ინგლისის კონსტიტუციის ძირითადი თვისებები; კანონმდებლობის უფლება მინიჭებული აქვს პარლამენტს, რომელიც შესდგება მეფისგან, სენატისგან და წარმომადგენელთა პალატისგან. პალატისა და სენატის წევრებს ირჩევენ საყოველთაო და თანასწორ არჩევნებით. ფედერაციას სათავეში უდგას ინგლისის მეფის მიერ დანიშნული გენერალ-გუბერნატორი, რომელიც პასუხისმგებელია ადგილობრივ წარმომადგენლობის წინაშე.

ყოველი კანონპროექტი, რომელიც მიღებულია ორივე პალატის მიერ, უნდა წარედგინოს გენერალ-გუბერნატორს, რომელიც ინგლისის მეფის სახელით ან ამტკიცებს მას, ან უარჰყოფს. მაგრამ გენ.-გუბერნატორის მიერ დამტკიცებულ კანონს საბოლოო ძალა არა აქვს ინგლისის მეფეს ერთი წლის განმავლობაში შეუძლიან უარჰყოს ეს კანონი. ეს კანონი იმიტომ არის შემოღებული, რომ შემოფარგლონ ადგილობრივ საკანონმდებლო დაწესებულების უფლება. ავსტრალიის მართვა-გამგეობისათვის გენ. გუბერნატორთან დაარსებულია საფედერაციო აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც მინისტრთა კაბინეტის მოვალეობას ასრულებს. მისი წევრები ადგილობრივ პალატის წინაშე არიან პასუხისმგებელნი და გენ. გუბერნატორისგან ინიშნებიან. იგივე გენ. გუბერნატორი ნიშნავს უმაღლეს და სხვა საფედერაციო სასამართლოების წევრებს. მასვე ეკუთვნის კონსტიტუციონურ სახელმწიფოებში არსებული აღმასრულებელ ორგანოების მეთაურის უფლებები: უფროსობს საზღვაო და ხმელეთის მხედრობას, იწვევს და ითხოვს პალატებს, შეაქვს კანონპროექტები და სხვ.

როგორც ვხედავთ, ცენტრალურ მთავრობის წარმომადგენელს ძალიან ფართო უფლებები აქვს და ამის გამო სრული თანხმობა არსებობს მეტროპოლიასა და კოლონიებს შორის. სულ სხვანაირ სურათს ვხედავთ ავსტრალიის ფედერაციის შინაურ ურთიერთობაში.

ავსტრალიის ფედერაციის ყოველ შტატს, რომელსაც ოფიციალურად სახელმწიფო ეწოდება, აქვს საკუთარი ორ-

განოები: ორპალატიანი პარლამენტი, რომელიც დამოკიდებულია გუბერნატორის ფედერალურ მთავრობისგან. ყველაფერს, რასაც კი კონსტიტუციის ძალით არ განაგებს ცენტრი, განაგებს შტატის მთავრობა ცენტრალურ მთავრობის დაუკითხავად. ყოველ შტატს უფლება აქვს იქონიოს საკუთარი კონსტიტუცია და ფედერალურ პარლამენტის დაუკითხავად შესცვალოს იგი. ამის გამო მოხდა ის, რომ პატარა ავსტრალიაში მრავალი სხვადასხვა ნაირი პოლიტიკური წყობილება არსებობს. საინტერესო ის არის, რომ ავსტრალიის კოლონიები ერთ და იმავე დროს ფედერაციის წევრებიც არიან, ფედერალისტებთან ერთად მოქმედობენ, და იმავე დროს ირიცხებიან ინგლისის ავტონომიურ ოლქებად და პირდაპირ მასთან არიან დაკავშირებული. ამ რიგად ავსტრალია მეტად ორიგინალური და მთელ ქვეყანაზე ერთად ერთი სახელმწიფოა, ფედერატიული ერთეულია, რომლის წევრებს ორნაირი იურიდიული უფლება აქვთ: როგორც ფედერატიულ სახელმწიფოს წევრებს და როგორც მათზე გაბატონებულ სახელმწიფოს, ინგლისის ავტონომიურ ოლქებს.

გუბერნატორის უფლება კოლონიებში მხოლოდ ფორმალურია. ის „მეფობს, მაგრამ არ განაგებს“. ასეთ ფართო დამოუკიდებლობის გამო ყოველ შტატს შეძლება აქვს სხვა შტატებს აღარ მოუცადოს და საჭიროებისდაგვარად მოახდინოს ესა თუ ის რეფორმა.

პოლიტიკურის და სოციალურის მხრით ავსტრალიის კოლონიები საქვეყნო ცივილიზაციას წინ მიუძღვიან და უკვე განახორციელეს ისეთი იდეალები (ქალთა თანასწორობა და 8 საათის სამუშაო დღე), რომელზედაც ევროპა მხოლოდ ოცნებობს. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის კოლონიებს გარეგნულად არავითარი კავშირი არა აქვთ ინგლისთან, ისინი მაინც მორალურად მჭიდროდ არიან მასთან დაკავშირებული. ასეთმა სულიერმა ერთობამ და ფსიხოლოგიურმა კავშირმა სავსებით იჩინა თავი ინგლის-ბურების ომის დროს. ინგლისის კოლონიები ვალდებული არ იყვნენ ომში რითიმე დახმარებოდენ ინგლისს, მაგრამ ისინი მაინც დაეხმარენ და მიეშველენ. ეს მაგალითი ცხადათ ამტკიცებს მათ ერთობას და სულიერ კავშირს.

ეხლა ვნახოთ, სახიფათოა თუ არა სახელმწიფოს მთლიანობისთვის ავტონომია და ფედერაცია? პოლიტიკურ დეცენტრალიზაციის მოწინააღმდეგენი მემარჯვენეთა ბანაკიდან თავიანთ ეზრებს ვერაფრით ვერ ასაბუთებენ: ვერც პრინციპიალურად და ვერც პრაქტიკულად. მთელი პოლემიკა ამ საკითხის შესახებ ჩვეულებრივად ორ აზრის გარშემო ტრიალებს: ერთის მხრით ავტონომიას და ფედერაციას ისე უყურებენ, როგორც სახელმწიფოს დამრღვეველ ფაქტორსა და საშვალებას. ამ ორ სხვა და სხვა ფორმის არევა ან იმით აიხსნება, რომ რუსეთის საზოგადოება ნაკლებად იცნობს სახელმწიფო მეცნიერებას, ან კიდევ იმით, რომ მოკამათენი შეგნებულად აბნელებენ და ართულებენ საქმეს.

სიყალბე იმ აზრისა, ვითომ ფედერაცია არღვევდეს სახელმწიფოს მთლიანობას, ცხადია. ამისათვის საკმარისია თვალი გადავავლოთ სხვა სახელმწიფოებს.

ავიღოთ თუნდ გერმანია და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები. ორივე სახელმწიფოს საერთაშორისო მდგომარეობა იმდენად უზრუნველყოფილია და მათი შინაური ცხოვრება იმდენად ბრწყინვალეა, რომ მათ დაშლაზე ხმის ამოღებაც არ შეიძლება. უფრო ცენტრალისტური რუსეთი დაირღვევა აღრე, ვიდრე ფედერატიული ამერიკა და გერმანია.

თუ ფედერაციას არ შეუძლია სახელმწიფოს დაქუცმაცება და დარღვევა, როგორ უნდა მოახერხოს ეს ავტონომიამ? ყოველი ადგილობრივი კანონი უნდა დაამტკიცოს ან უარჰყოს ცენტრალურ მთავრობის წარმომადგენელმა, მაშასადამე, მასვე შეუძლიან ისეთ კალაპოტში ჩააყენოს ადგილობრივი პოლიტიკა, როგორც ეს სურს ცენტრალისტურ მთავრობას.

ან, იქნება, სახელმწიფოს მთლიანობა შეიძლება დაირღვეს, თუ ადგილობრივ დაწესებულებებს ფართო უფლებები მიენიჭა? ესეც შეუძლებელია, რადგან ყოველ კონსტიტუციას მხოლოდ მაშინ ეძლევა ძალა, როცა იგი დამტკიცებული იქნება სახელმწიფო სათათბიროს მიერ.

ხშირად იმასაც ამბობენ, ვითომ ავტონომია პირველი ნაბიჯი იყოს სეპარატიზმისა. მაგრამ, რა შუაშია აქ ავტონომია? ჩვენ საკმაოდ დავრწმუნდით, რომ სეპარატიზმი გაბერილი საფრთხობელაა, ცენტრალისტურ პოლიტიკის მოტრფიალე მთავრობის მიერ შექმნილი. ყოველ ძალმომრეობასა და შეზღუდვას თან მოსდევს წინააღმდეგობა, რომელიც, შეიძლება, უკიდურეს ფორმაში გამოიხატოს. თავისუფლებას კი თან მოსდევს მხოლოდ სოლიდარობისა და ურთიერთ განწყობილების გამტკიცება.

იურიდიულად სახელმწიფოს მთლიანობა გამოიხატება სახელმწიფოს ცენტრალურ მმართველობის სუვერენიტეტში, რომელიც, შეუძლებელია, დარღვეულ იქმნას ავტონომიით, რომლის ფორმა და საზღვარი უნდა შეიმუშავოს იმავე ცენტრალურმა მმართველობამ. სახელმწიფოს ცენტრალური მმართველობა გამოიხატება პარლამენტში, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ყველა ერებისა და ოლქების წარმომადგენელნი და ყველასთვის საერთო მეთაური აღმასრულებელ მმართველობისა. ავტონომია სრულიადაც არ ეხება და არ არღვევს ამ საერთო დაწესებულებებსა და მათ უფლებებს და უზრუნველ ჰყოფს სახელმწიფოს გარეგნულ მთლიანობას. მაგრამ ცენტრალისტურ სახელმწიფოს მოტრფიალენი მეტისმეტად არიან გატაცებული გარეგნულ ფორმით.

სახელმწიფოს ისეთი მთლიანობა, როგორც მათ ესმით, დამყარებულია მხოლოდ ხიშტებზე და იგივე მთლიანობა ლანდივით ისპობა მაშინ, როცა სახელმწიფოს საქმე გაუჭირდება. სახელმწიფოს მთლიანობას მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, როცა იგი დამყარებულია ხალხის შეგნებაზე და არა მარტო ხიშტებზე.

პოლიტიკური წყობილება მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს მკვიდრი და მტკიცე, როცა სახელმწიფოს ერთ რომელიმე ნაწილის ინტერესები მეორე ნაწილისას არ უქვემდებარებენ, ზოგიერთ შემთხვევაში კი ამის თავიდან აცილება შეუძლებელია უავტონომიოდ.

ქვეყნის მმართველმა უნდა შეიგნოს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა და ავტონომია,—კანადის კონსტიტუციისა არ იყოს,—„ხელს შეუწყობს პროვინციების აყვავებას და დახმარებას გაუწევს ცენტრის ინტერესებს“. ასეთი ორივე მხრისთვის სასარგებლო შეერთება შეჰქმნის იმ შინაგან ორგანიულ კავშირს, რომლის დახმარებით სახელმწიფო ადვილად გაუძლებს ყოველნაირ პოლიტიკურ ქარიშხალს და ხალხს მშვიდობიანობას მიანიჭებს.

ბ.

აგარული საკითხი

I

ახლა უკვე ყველასთვის ცხადია, რომ აგრარულ საკითხს რუსეთის რევოლუციაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა. თვით სოციალ-დემოკრატია, რომელიც მუდამ მხოლოდ და მხოლოდ ქალაქის მუშათა და უმიწაწყლო პროლეტარიატ საშუალებით აპირებდა სახელმწიფო და საზოგადოებრივ წყობილების გარდაქმნას, რომელიც თეორიულად, თავის პროგრამის მიხედვით, ყოველთვის უარჰყოფდა გლეხობას, ბოლოს და ბოლოს იძულებული შეიქმნა გლეხების შესახები ტაქტიკა შეეცვალა, გლეხობა რევოლუციის უმთავრეს ძალად გამოეცხადებია და ყველა პარტიისთვის მიზნად დაესახა, გლეხობის მისწრაფებათა გამოცნობა და მათი დაკმაყოფილება.

მაგრამ ჩვენ, ქართველები, ვიცნობთ კი რუსეთის გლეხობას, რომელიც ახლა პირველად გამოვიდა პოლიტიკურ ცხოვრების ასპარეზზე, — გაბედულად, თავის საკუთარ აზრების გასატარებლად? ჩვენს მწერლობაში მის შესახებ არაფერი არ წერებულა და არც ერთ პოლიტიკურ პარტიის წარმომადგენელ-პროპაგანდისტს ხალხისთვის არ გადაუცია არც ის განსხვავებული იურიდიულ-ეკონომიური პირობები, რომელიც რუსეთის გლეხთა ცხოვრებას საფუძვლად უდევს, არც ამ გლეხობის ახლანდელი მდგომარეობა და არც მისი იდეალები, საკმარისად მიიჩნდათ პარტიულ პროგრამების გადაცემა, — ამ პროგრამებში ხომ აგრარულ საკითხსაც აქვს დათმობილი ადგილი, — და ამ პროგრამის გასავრცელებლად და მისთვის ხალხში ნდობის მოსაპოვებლად ყოველი პარტია თავის მსმენელ-მკითხველს არწმუნებდა, რომ „მთელი რუსეთი“, „მთელი რუსეთის გლეხობაც“ ამავე პროგრამას ადგია და მზად არის მის განსახორციელებლად ებრძოლოს, როგორც მთავრობას, ისე მემამულეებსაც.

მაგრამ ამის თქმა შეიძლებოდა მხოლოდ იქ, სადაც მსმენელი ან მკითხველი ჯერ კიდევ განუვითარებელი იყო და იჯერებდა ყოველსავე, პარტიისაგან გაგონილ სიტყვას, და სანამ რუსეთის გლეხობა სდუმდა და თავის ნამდვილ მისწრაფებას არ ამხელდა.

ახლა დუმილი დაირღვა და ყველა ის პარტია, რომელიც წინეთ რუსეთის გლეხობის სახელით ასაღებდა თავის საკუთარ გულის თქმას, ახლა იძულებული გახდა ლაპარაკის კილო გამოეცვალა და, პირიქით, თვითონ გლეხთა გულისთქმის უნებური გამომხატველი გამხდარიყო. გაიხსენეთ თუნდ სოციალ-დემოკრატებისაგან აგრარულ პროგრამის შეცვლა და თქვენთვის ცხადი იქნება, რომ პარტიისაგან წინანდელ აგრარულ პროგრამის დაგდება და ახალის შემუშავება ძირითადად სცვლის თვით მარქსიზმის თეორიულ მოძღვრებას და სოციალ-დემოკრატებს ერთის ფეხით მაინც სოციალისტ-რევოლუციონერებს (სოც.-ფედერ.) ბანაკში აყენებს.

ცხოვრებამ დაუმტკიცა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომ იგი ხალხს და მის ნამდვილ სურვილებს არ იცნობდა და ქალაქში, როგორც კაბინეტში, ნებივრად წამომჯდარი სოფელზე ლაპარაკობდა და ოცნებობდა იმას, რაც იამებოდა.

ასეთ ოცნების ხანა წავიდა, მაგრამ დღეს კიდევ აგრარული საკითხი ჩვენს მწერლობაში ისევ თითქო დავიწყებული არისო, და მის შესახებ რამე მსჯელობა თუ აქვს ვისმე, ისევ პარტიების იდეოლოგებს, პარტიების მეთაურებს, ისეც კერძო კამათში და არა საჯაროდ.

აგრარული საკითხი კი თვით ხალხმა უნდა გადასწყვიტოს!

იტყვიან, ხალხმა თავის საჭიროებანი იცისო და ამიტომ საჭირო არ არის ამის შესახებ მწერლობასა და კრებებზე კამათის აღძვრაო, მაგრამ ასე ხომ შეიძლება, საზოგადოდ, სრულებით უარვჰყოთ ყოველივე თეორიულ მსჯელობის მნიშვნელობა, ხალხი ყველაფრის მცოდნე მეცნიერად გამოვაცხადოთ, ისეთ მეცნიერად, რომელმაც უკამათოდ, შეუსწავლებლად, დაუკვირვებლად იცის ყოველიფერი.

ამ საქმის თვით ხალხის ცოდნაზე მიგდება შეუძლია მხოლოდ მას, ვინც ყველა სხვა კითხვებში ითხოვს სრულ დეცენტრალიზაციას, იმას, ვინც საკანონდებლო ავტონომიის მომხრეა და ვისაც ამიტომ უნდა, რომ ყოველი ადგილობრივი საქმე თვით ხალხმა ადგილობრივად, თავის სურვილების მიხედვით, მოაწყოს. მართლაც ავტონომიურ საკანონდებლო სეიმის მქონე ხალხი ყოველთვის მოახერხებს თავის მდგომარეობას ჩაუკვირდეს და ასე თუ ისე მოაწესრიგოს იგი.

სულ სხვაა იქ, სადაც დეცენტრალიზაციისა და ავტონომიის მაგივრად პარტია ცენტრალისტურ რუსეთს ესწრაფება, როგორც იქცევა, მაგ., სოციალდემოკრატების პარტია. ამ პარტიის გაბატონება ყოველივე ადგილობრივ, გამასხვავებელ პირობებს მოსპობას უქადის და მთელ რუსეთში ერთისა და იმავე კანონდებლობის შემოღებას ამზადებს. ეს პარტია ავალებს ადგილობრივ ხალხს თავისი საქმე მოაწყოს ისე, როგორც ეს შუაგულ რუსეთში მცხოვრებ გლეხობას მოესურვება. ცენტრალისტურ რუსეთის გაერთიანებულ საკანონდებლო კრებულში საქმე ხმის უმეტესობით გადაწყდება, და რა შეეძლება ქართველების ორიოდე ხმას იქ, სადაც ხმის უმეტესობა შუა-გულ რუსეთის წარმომადგენლებს ექმნებათ!? და იქ, შუაგულ რუსეთში, ხომ სოფლელების მდგომარეობა და თვით იდეალებიც სრულებით არა ჰგავს ქართველ გლეხის მდგომარეობას და იდეალებს. თვით აღმოსავლეთ კავკასიის სოფელი ხომ სულ სხვას ითხოვს, ვიდრე დასავლეთ კავკასიისა და აღმოსავლეთ კავკასიის წარმომადგენელმა, ბ. ტოფჩიბაშევმა ხომ სათათბიროში უკვე განაცხადა ეს გარემოება.

და რაკი შუაგულ რუსეთის გლეხობას ასეთი დიდი მნიშვნელობა ექმნება ჩვენს ადგილობრივ აგრარულ საკითხის გადაწყვეტაში, ამიტომ სწორედ ცენტრალისტობის მომხრე პარტიამ, სოციალ-დემოკრატიამ, უნდა გააცნოს ქართველ ხალხს შუაგულ რუსეთის გლეხთა ახლანდელი მდგომარეობა და იდეალები, უნდა გაცნოს იმისთვის, რომ ჩვენებურმა ხალხმა შეგნებულად მოახერხოს აგრარულ საკითხის გადაწყვეტაში რამე მონაწილეობის მიღება, რომ იგი მხოლოდ ბრმა ადმასრულებელი არ გამოდგეს იმისი, რასაც შუაგულ რუსეთის მცხოვრები გლეხობა ისურვებს თავისთვის და მთელ რუსეთისათვის. ასეთი გაცნობა მით უფრო ეკალბათ მათ ეხლა, როდესაც თვითონ მათ გამოაცხადეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონია აგრარულ საკითხს, — „ვინც რუსეთში გლეხების სურვილებს ვერ გამოიცნობს და მათ განხორციელებას ხელს ვერ შეუწყობს, ის რევოლუციისაგან გარიყული იქმნებაო.“

რუსეთში აგრარულმა საკითხმა უკვე მთელი ლიტერატურა გამოიწვია, — თითქმის ყოველ დღე იბეჭდება რუსეთის გაზეთებში რამე წერილები ან გამოკვლევები ხსენებულ საკითხის შესახებ, და მსურველს შეუძლია, ამიტომ, ჩაუკვირდეს ამ საქმეს და მაზე თავისი შეხედულება გამოარკვიოს.

ამ მხრივ მეტად ღარიბია ქართული მწერლობა. აგრარულ საკითხის, რუსეთის სოფლის ახლანდელ მდგომარეობისა და იდეალების შესახებ ქართულად წიგნების უქონლობა და ამაზე თვით გაზეთებშიაც სიჩუმე ისეთი ნაკლია, რომელსაც შევსება უნდა და რომელსაც, იმედი გვაქვს, შეავსებენ ისინი, ვისაც მისი შევსება სხვებზედ უფრო მოეთხოვებათ.

ჩვენდა თავად ვეცდებით შემდეგ წერილებში მკითხველს აგრარულ საკითხის შესახებ რამდენიმე საჭირო, არა პარტიული, ცნობა გადავცეთ და გავაცნოთ სხვა და სხვა წინადადებები, რომელიც აგრარულ პროექტების სახით იქმნა წარდგენილი სათათბიროში ან რუსულ მწერლობაში გამოცემული.

—ღი.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲨᲘ

უბრძოლველად თავისუფლების მოპოვება არ შეიძლება, და ბრძოლა კი საფიქრებელიც არ არის იქ, სადაც ხალხს საამისო შეგნება აკლია,—ეს უტყუარი ჭეშმარიტება უნდა ხშირ-ხშირად გავახსენოთ ხოლმე იმათ, ვინც თავის მოქმედებით და ჩვენში ეროვნულ საკითხის ჩაფუჩეჩებით ძირს უთხრის ქართველების ეროვნულ თავისუფლებას.

ჩვენ რომ ეროვნულად დაჩაგრული ვართ, ამისი უარის ყოფა არც ერთ შეგნებულ ადამიანს არ შეუძლია, და თუ ამ ჩაგვრას ყველა თანასწორად ვერ გრძნობს, ამისი მიზეზი ხალხის შეუგნებლობაა და მისი უკულტურობა. მონა ხშირად ისე ეჩვევა თავის მონობას, რომ თავისუფლებაზე ფიქრსაც ივიწყებს. მხოლოდ „შეგნებული“ მუშა იბრძვის თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მხოლოდ შეგნებული ერი ვერ იგუებს თავის ეროვნულ მონობას და იბრძვის სხვის ბატონობის ჩამოსაშორებლად და ეროვნულ თანასწორობის დასამყარებლად!

ამ მხრივ ჯერ კიდევ „შეუგნებელია“ ქართველი ერი, რომელიც პოლიციელების და სოციალ-დემოკრატების ბრძანებით ეროვნულ საკითხის შესახებ ხმის ამოღებასაც ვერ ბედავს. მართლაც, ეროვნულ საკითხის ჩაფუჩეჩებაში სოციალ-დემოკრატები ღირსეულ მეტოქეობას უწევენ პოლიციის აგენტებს და ხშირად კიდეც აჭარბებენ მათ. სოციალისტურ იდეალებით გატაცებული ქართველი ერი სულ მუდამ ამ იდეალებზე ოცნებობს და ფიქრობს, რომ დღეს თუ არა, ხვალ მაინც შემოვა ის წუთობილება, რომელშიაც არ იქნება საზოგადოდ მჩაგვრელი და ჩაგრული, და ყველა ადამიანს თანასწორი ბედნიერება მოეფინება. ამ იდეალებზე ფიქრი ქართველებს თანამედროვე საჭიროებებზე ზრუნვას სრულებით ავიწყებს, ავიწყებს იმას, რომ ყოველგვარი ჩაგვრა ჯერ კიდევ არსებობს დედა მიწაზე და რომ ყველა მჩაგვრელს ბრძოლა სჭირია, სულ ერთია, ცხოვრების რომელ დარგში იქნება გაბატონებული დაჩაგვრა, იქნება იგი ეკონომიური, პოლიტიკური თუ კულტურული.

მართალია, რომელიმე სოციალისტურ პარტიის „შეგნებული“ წევრი ამის საპასუხოდ გაგვიხსენებს მუშა ხალხის და გლეხობის ბრძოლას ეკონომიურ და პოლიტიკურ თავისუფლების მოსაპოვებლად, მაგრამ საკმარისია ოდნავად ჩავუკვირდეთ ამ ბრძოლას, რომ ხშირად მის სრულ შეუგნებლობაში დავრწმუნდეთ. აქ ყველა ფაქტების ჩამოთვლას არ შევუდგებით,—გავიხსენებთ მხოლოდ სოციალ-დემოკრატების სახელით ვაჭრების ეკონომიურ ბრძოლას, სოციალ-დემოკრატიულ წევრებად ბურჟუაზიულ ელემენტების შესვლას, ამ პარტიის სხვა და სხვა მოქმედებას ქართველ ეკლესიის ავტოკეფალიის და სოხურ საეკლესიო მამულების საქმეში, მისგან პოლონეთის ავტონომიის მიღებას და საქართველოს ავტონომიის უარის ყოფას. რითი, თუ არა პოლიტიკურ შეუგნებლობით აიხსნება აზრების საშინელი არევ დარევა, რომელიც სუფევს პარტიის სხვა და სხვა ტაქტიკურ კითხვაში, საკუთარ ძალების გადამეტება და ისეთი ქცევა, თითქო პარტია და მისი მეთაურები ის ღერძი იყვენ, რომლის გარშემო მსოფლიო ტრიალებს? ნუ თუ ხალხის „შეგნებით“ აიხსნება ის გარემოება, რომ ჩვენში მხოლოდ სოციალისტური პარტიები არსებობს და რომ განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატების პარტია სოფლად და ქალაქებში არის გავრცელებული? ნუ თუ მთელი ქართველი ერი მათ „შეგნებულად“ ემხრობა, ნუ თუ ყველას შეგნებული აქვს პარტიის პროგრამა და მისწრაფებანი?

ამის პასუხი თავის თავად ცხადია. განვითარებულ მრეწველობას მოკლებული და კულტურულად ჩამორჩენილი ერი სოციალისტურ იდეას ვერ შეითვისებს. ამნაირ ერისაგან სოციალიზმის შეთვისება მარქსიზმის დარღვევა იქნება. ქართველ ერის განვითარება ბუნებრივ გზას რომ დასდგომოდა და ხალხის უმეტესობას შეგნებული მონაწილეობა რომ მიეღო ახლანდელ განმათავისუფლებელ მოძრაობაში, მაშინ, ცხადია, არა სოციალისტური ელემენტები ცალკე პარტიებად გამოიყოფოდენ და ყველა პოლიტიკური პარტია, საზოგადოდ, განყენებულ იდეალებთან ერთად, მიზნად დაისახავდა, ადგილობრივ პირობების მიხედვით, იმ მიზეზების მოსპობას, რომლებიც ძირს უთხრიან ხალხის ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ თავისუფლებას; სოციალ-დემოკრატიასთან ერთად არა სოციალისტური პარტიები გაჩნდებოდენ და თვით ქართველი სოციალ-დემოკრატია რუს სოციალ-დემოკრატების პროგრამას ბრმად და სავსებით არ გადმოიღებდა,—ეცდებოდა, პირიქით, მის შევსებას და შეცვლას, ადგილობრივ საჭიროებათა მიხედვით.

იტყვიან, ეს შეუძლებელი არისო. შეუძლებლად დასახავენ ქართველებში არა სოციალისტურ პარტიების შექმნას და გამოაცხადებენ, რომ ქართველ ერის უმეტესობა პროლეტარიატის წითელ დროშის ქვეშ შეგნებულად შეერთდაო. ასეთი აზრი პარტიის წევრია პარტიულ თავმოყვარეობისთვის მეტად სასიამოვნოა, თუმცა სიმართლეს არ ეთანხმება. იტყვიან ავრეთვე, რომ სოციალ-დემოკრატიულ პროგრამის შეცვლა რუსეთის პროლეტარიატს დაქსაქსავს და ხელს შეუშლის მის საერთო ბრძოლას თავისუფლების მოსაპოვებლად.

შორს რომ არ წავიდეთ და თეორიულ კამათით არ მოვაწყინოთ მკითხველი და თვით თეორიულ კამათს შეუჩვეველი სოციალ-დემოკრატიულ პარტიის იდეოლოგები, საკმარისია გავიხსენოთ პოლონეთი და იქ მომქმედი პოლიტიკური პარტიები დავასახელოთ.

პოლონეთი, საქართველოსთან შედარებით, ეკონომიურად ძალიან განვითარებული ქვეყანა არის. მრეწველობის საოცარმა განვითარებამ იქ ხელი შეუწყო დიდ ქალაქების ზრდას და ამ ქალაქებში თავი მოუყარა მუშა ხალხს, რომელიც სოციალისტურ იდეას ადვილად ითვისებს და ნიადაგს ჰქმნის ძლიერ სოციალისტურ პარტიის მოქმედებისთვის. და იქ, პოლონეთში, სოციალისტურ პარტიებთან ერთად სხვა არა სოციალისტური პარტიები არსებობენ და ხალხში დიდ გავ-

ლენას და მომხრეთა დიდ რიცხვსაც ჰპოულობენ. თვით სოციალისტური პარტიები კი ეროვნულ დაჩაგვრის მასასპობად თამამად ითხოვენ ავტონომიას.

ყველაზე უფრო გავლენიანი და ძლიერი პარტია პოლონეთში არის „ნაციონალ-დემოკრატიული პარტია“. პირველად პარტია „პოლონელთა წრის“ სახელით მოქმედობდა და უმთავრეს ყურადღებას აქცევდა სწავლა-განათლების გავრცელებას პოლონეთის სხვა და სხვა კუთხეში, მაგრამ პოლიტიკურ ცხოვრების გამოცოცხლებამ პარტია აიძულა მისი პოლიტიკური იდეალები უფრო მკაფიოდ გამოესახა: 1897 წელს აქეთ პარტიამ თავისი ახლანდელი სახელი დაირქვა. 1903 და 1905 წწ. პარტიამ გადასინჯა თავისი პროგრამა და პოლიტიკურ ცხოვრების ასპარეზზე აშკარა მოქმედება დაიწყო.

ეს პარტია თავის პროგრამით დემოკრატიულია,—მისი ტაქტიკა და წევრები კი უფრო ბურჟუაზიას ეკუთვნიან. ნაციონალ-დემოკრატები ცდილობენ ეროვნულ თავისუფლების დამყარებას, მათ იდეალად დასახული აქვთ სახელმწიფოს დეცენტრალიზაცია, სოციალ ეკონომიურ ცხოვრების გაუმჯობესება,—განსაკუთრებით კი ეროვნულ საქმეს მედგრად ადგიან და ამით პოლონლეთა უმეტესობის თანაგრძნობას იმსახურებენ.

იდეალების მიღწევა პარტიას თანდათანობით უნდა, სხვა და სხვა რეფორმების შემოღებით და არა იარაღით და აჯანყებით. ისინი პოლიტიკურ გაფიცვების წინააღმდეგნი არიან. საზოგადოდ, მათის აზრით, ყოველი გაფიცვა ძირს უთხრის ქვეყნის ქონებრივ კეთილდღეობას და ამიტომ გასაკიცხია.

ეს პარტია პოლონელთა პოლიტიკურ პარტიების ცენტრს წარმოადგენს და უკანასკნელ არჩევნების დროს მან სხვა პარტიებზე ბრწყინვალედ გაიმარჯვა,—მას ეკუთვნის სათათბიროში პოლონელ დეპუტატების დიდი უმეტესობა.

რუსეთის პარლამენტისაგან ეს პარტია ითხოვს ავტონომიას,—ჩვენს ადგილობრივ საქმეებს ჩვენვე გავუძღვებითო,—და ამ მხრივ ხსენებულ პარტიის წევრები ემხრობიან რუსეთის კონსტიტუციონალ-დემოკრატებს იმდენად, რამდენადაც ესენი გულწრფელად ითხოვენ პოლონეთის ავტონომიას.

როგორც საზოგადოდ პოლონელები, ისე ეს პარტიაც ეჭვის თვალით უყურებს მთავრობის ყოველ განკარგულებას და ცდილობს ყველგან მმართველების საიდუმლო გინზრახვას მიუხვდეს.

მაგრამ ამ პარტიას ერთი დიდი ნაკლი აქვს,—მისი პროგრამის ზოგიერთი მუხლი საკმარისად გარკვეული არ არის და ამიტომ პოლონელებში შესდგა მეორე ძლიერი პარტია, „პროგრესიულ-დემოკრატიული კავშირი“.

პოლიტიკურ სფერაში ამ ახალმა პარტიამ, რომელიც 1904 წელს შესდგა, უფრო ნათლად და გადაჭრით წამოაყენა ავტონომიის საკითხი პოლონეთისთვის. პარტიულ პროგრამის მიხედვით, პოლონეთს, როგორც რუსეთის განუყოფელ ნაწილს, უნდა მიენიჭოს ავტონომია ადგილობრივ საკანონმდებლო სეიმით. ამას გარდა პარტიამ ავტონომიურ პოლონეთის საფუძვლად მიიღო გეოგრაფიულ-ეტნოგრაფიული პრინციპი და უარჰყო ისტორიული უფლებანი,—ამიტომ, მისის აზრით, მხოლოდ იქ, სადაც პოლონელები ხალხის დიდ უმეტესობას შეადგენენ, უნდა მიენიჭოს მათ ავტონომია, და ძველ პოლონეთის ზოგიერთი ნაწილი ავტონომიურ პოლონეთის გარეთ უნდა დარჩეს. ეკონომიურ საკითხებში „პროგრესიულ-დემოკრატიული კავშირი“ სოციალისტურ პროგრამას ემხრობა.

ამ კავშირში შედის მრავლად ინტელიგენცია, მისი ერთი ცნობილი წარმომადგენელი ბაგანია მწერალი სეროშევსკი, რომელმაც კავშირს გარკვეული სახე მისცა. ადგილობრივ ინტელიგენტ ებრაელების ერთი ნაწილიც ამავე კავშირს ემხრობა, ზოგიერთი კი შეადგენს ცალკე ფრაქციას, რომელსაც „პროგრესიულ ებრაელების“ ფრაქცია დაერქვა.

თავის პროგრამით და მიმართულებით პროგრესიულ-დემოკრატიული კავშირი რუსეთის კონსტიტუციონალ-დემოკრატების პარტიას უახლოვდება იმდენად, რომ არჩევნების დროს ისინი ტაქტიკურად შეერთდენ და კენჭს საერთო კანდიდატებს აძლევდენ.

კიდევ უფრო ახლო სდგას რუსეთის კონსტიტუციონალ-დემოკრატებთან ახალი „დემოკრატიული“ პარტია, რომელიც მხოლოდ წრეულს, არჩევნების წინ, შესდგა და რომელშიაც პოლონელი ებრაელები არავითარ მონაწილეობას არ იღებენ. ამათაც, სხვა და სხვა მოთხოვნასთან ერთად, წამოყენებული აქვთ პოლონეთის ავტონომია.

ავტონომიის საკითხში კიდევ უფრო შორს მიდიან ისინი, ვინც „სახალხო კავშირის“ სახელით მოქმედობენ. ამათის აზრით, პოლონეთს რაც შეიძლება მეტი დამოუკიდებლობა უნდა მიეცეს, რადგანაც პოლონეთის პოლიტიკური თავისუფლება მეტად სასარგებლო დარჩება ადგილობრივ ხალხის ეკონომიურ კეთილდღეობისთვის. „კავშირი“ განსაკუთრებით გლეხობის ინტერესების დამცველად გამოდის და თან და თან მეტ თანაგრძნობას პოულობს, ისე რომ შემდეგში მას, ალბად, შესამჩნევი მნიშვნელობა ექნება პოლონეთის პოლიტიკურ ცხოვრებასა და არჩევნებშიაც.

„ეროვნულ დემოკრატიული პარტია“ პოლონეთის პოლიტიკურ პარტიებში ცენტრს თუ წარმოადგენს, ეს დასახელებული კავშირები უფრო მარცხნივ იწევიან და შემარცხენეთა ფრთეს შეადგენენ. თვითონ ტაქტიკით ისინი რადიკალები არიან და ცდილობენ სისხლის დაღვრელად მოაწყონ საქმე,—მათ იმედი აქვთ, რომ საქმის ასეთი გადაწყვეტა შესაძლო იქმნება, თუ კი რუსი საზოგადოებაც ისევე გულწრფელად დადგება ეროვნულ თანასწორობის იდეას, როგორც თვით პოლონელები, და კონსტიტუციონალ-დემოკრატების პარტიამ თავის საპროგრამო მოთხოვნა პოლონეთის ავტონომიის შესახებ მართლაც თუ განახორციელა სათათბიროში.

უკიდურეს მემარცხენეთა ბანაკს შეადგენს სხვა და სხვა სოციალისტური პარტია. ებრაელ სოციალისტების „ბუნდი“ რომ არ ვიანგარიშოთ, პოლონელებში ამ ჟამად შემდეგი სოციალისტური პარტიები მოქმედობს.

„პოლონეთის და ლიტვასი სოციალ-დემოკრატული პარტია“, რომელიც სხვა სოციალისტურ პარტიებზე უფრო ახლო სდგას დასავლეთ ევროპის სოციალდემოკრატებთან. ესენი პარტიის წევრებად იღებენ ყველა მუშას, ეროვნების განურჩეველად. მიზნად დასახული აქვთ თვითმყრობელობის მოსპობა და ბრძოლა კაპიტალიზმთან,—ამასთანავე გარკვეული აქვთ გამოცხადებული, რომ მათ არ უნდათ პოლონეთის ჩამოშორება რუსეთისაგან და აზრად არ მოსდით ცალკე, დამოუკიდებელ სახელმწიფოსი მოწყობა,—პოლონეთისთვის მათ უნდათ ადგილობრივი სეიმი და ეროვნული თვითმართველობა.

ამათი მონათესავეა „პოლონელების სოციალისტური პარტია“, რომელიც წინეთ პოლონეთის დამოუკიდებლობას ესწრაფვოდა, ახლა კი აცხადებს, რომ რუსეთი, საზოგადოდ, ფედერატიულად უნდა მოეწყოს, და რომ ამ ფედერაციის

ნაწილებად ადგილობრივი დემოკრატიული რესპუბლიკები უნდა იყოს,—ერთი ასეთი დემოკრატიული რესპუბლიკა იქმნება პოლონეთიცა. ავტონომიის სახე უნდა გამოარკვიოს ადგილობრივმა საკანონდებლო სეიმმა. საზოგადოდ, ეს პარტია „სოციალ-დემოკრატიულ“ პარტიაზე მეტ ყურადღებას აქცევს ეროვნულ საკითხს და ხალხში ძლიერ ორგანიზაციას შეადგენს.

მესამე სოციალისტური ორგანიზაცია არის „პოლონელ პროლეტარიატის სოციალისტური პარტია“, რომელმაც სოციალისტურ პარტიებში პირველმა გაბედა პოლონეთისთვის ავტონომიის მოთხოვნა და რომელიც თავის მიზნების მისაღწევად ტერორს მიმართავდა,—კაცის კვლას, ძალმომრეობას. ახლა, როდესაც ბრძოლის ეს საშუალებანი სხვა პარტიებმაც მიიღეს და თვით ავტონომიის საკითხი სხვა სოციალისტურმა პარტიებმაც შეიტანეს თავიანთ პროგრამაში,—ეს „პოლონელ პროლეტარიატის სოციალისტური პარტია“ თანდათან ყოველივე პრაქტიკულ მნიშვნელობას და გავლენას მოკლებული შეიქმნა.

ამნაირად ჩვენ ვხედავთ, რომ ყველა მეშარკხენე პარტიას პროგრამაში, სიტყვის და პრესსის თავისუფლებასთან ერთად, აქვს შეტანილი ავტონომია, რომელიც ხალხის თავისუფლებისთვის აუცილებელ საჭიროდ მიჩნეულია, ვინაიდან მხოლოდ ავტონომიას შეუძლია მოსპოს ის ეროვნული ჩაგვრა, რომელიც ახლა ხალხში ეროვნულ ბრძოლას იწვევს და ამითი ხელს უშლის კლასიერ შეგნებას და სოციალისტურ იდეის გავრცელებას საზოგადოებაში.

პოლონეთის პოლიტიკურ პარტიების მემარჯვენეთა ბანაკში არიან: „რეალურ პოლიტიკის პარტია“, რომელიც უწინდელ „უგულოდ ოცებისაგან“ შესდგება, და არჩევნების წინ ახლად გამოჩეკილი პარტიული,—„შეერთება“. ამ პარტიებში წევრებად არის ადგილობრივი არისტოკრატია და მსხვილი ბურჟუაზია. მათი მისწრაფება რუსეთის უმაღლეს მმართველობის სურვილთა გამოცხობა და აღსრულებაა. მართალია, ხალხში ნდობის მოსაპოვებლად, ისინიც ემხრობიან თვითმმართველობას, პოლონურ ადმინისტრაციას და პოლონურ ენას სასწავლებლებში, მაგრამ, რაკი ისინი პრინციპიალურად არ ეწინააღმდეგებიან და არ ებრძვიან რუსეთის უმაღლეს მთავრობას, ამიტომ მათ საპროგრამო მოთხოვნას და მომხრეობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ამნაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენზე ბევრად უფრო განვითარებულ პოლონელებში მრავალი სხვა და სხვა პარტია არსებობს. ეს გარემოება ხალხის პოლიტიკურ სიფხიზლის ნიშანია. იქ ხალხი ფიქრობს, უკვირდება თავის მდგომარეობას, უკვირდება სხვა და სხვა პარტიის პროგრამას, და თუ არსებულ პარტიების პროგრამა მას არ აკმაყოფილებს და ადგილობრივ საჭიროებას არ შეეფერება, ხალხი სცვლის მას ან ახალ პროგრამებს ადგენს. ვინ არ იცის, მაგ. რომ იქაური სოციალ-დემოკრატიაც რუსეთის სოციალდემოკრატიის ხელქვეითობას არ ეგუებოდა და თავის ადგილობრივ საქმეებს დამოუკიდებლად განაგებდა, რომ მან თავისი ადგილობრივი იდეალები წამოაყენა და საჭიროდ სცნო ეროვნულ საკითხის გადაწყვეტა გარკვეულად, რადგანაც ეროვნული დაჩაგვრა არ არსებობს შუაგულ რუსეთში, სადაც სრულიად რუსეთის სოციალ დემოკრატია მოქმედობს, პოლონეთში კი ეს დაჩაგვრა ხალხისთვის მეტად საგრძნობელია.

მხოლოდ ჩვენს ჩამორჩენილ საქართველოში ხალხი, წყალწაღებულივით, ხელს სტაცებს პირველსავე პარტიას და შემდეგ მის სიავ-კარგის გათვალისწინებას ვერ ბედავს. ვინ გინდათ, რომ ჩვენებურ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრად არ ითვლებოდეს! თუ გაჩნდა ვინმე და ამ პარტიის პროგრამას ან ტაქტიკას ეჭვის თვალით შეხედა ან გამოაცხადა, რომ ქართულ ხალხის განსაკუთრებულ, ადგილობრივ საჭიროებას შესაფერი გამოსარჩლება სჭირია,—ამის მთქმელი ხსენებულ პარტიისგან ხალხის მტრად იქნება გამოცხადებული და ხალხიც... ამ გამოცხადებას ყურს დაუგდებს და დაუჯერებს. გაიხსენეთ მუშების პროტესტები „ლამპარში“, ჟურნალ „ნობათის“ წინააღმდეგ მიმართული, გაიხსენეთ, რომ მუშები „ნობათს“ ხალხის მტერს ეძახდენ და გაზ. „ლამპარი“, ე. ი. ს.-დ. პარტიის მეთაურები, ამ შემცდარ აზრის განმტკიცებას თავის მხრივ ხელს უწყობდენ და „ჭკა მაკარი“ ველურ ტაქტიკას არ ეწინააღმდეგებოდენ

გაიხსენეთ ამ პარტიის მეთაურთა გაყინული დოგმატიზმი და მათგან ხალხში ყოველივე კრიტიკულ აზროვნების მოსპობა.

არა! სანამ ხალხი ჩვენში კულტურულად არ ამაღლდება და პოლიტიკურ ბრძოლაში, მართლაც შეგნებულ მონაწილეობას არ მიიღებს, იმ დრომდის მოსალოდნელი არ არის ქართველებისგან ავტონომიის მოთხოვნა, იმ დრომდის ქართველი ერი განმათავისუფლებელ მოძრაობაშიაც რუსების მონა იქმნება და თავის მოქმედებით და ბრძოლით მხოლოდ ნიადაგს შეჰქმნის ქართველებში ეროვნულ დაჩაგვრის გასაძლიერებლად.

როგორ უნდა დაიწყოს მონამ ბრძოლა თავისუფლების მოსაპოვებლად, თუ მას თვით ეს მონობა შეგნებული არა აქვს.

როგორ უნდა მოითხოვოს ქართველმა ერმა, პოლონელებსავით, ავტონომია, თუ მასაც შეგნებული არა აქვს, რომ იგი ეროვნულად იჩაგრება ახლა და შემდეგში, ბურჟუაზიულ რეფორმების შემდეგაც, ეროვნულად დაიჩაგრება! თუ მას არ ესმის, რომ ამ დაჩაგვრის მოსასპობად შესაფერ სახელმწიფო წესწყობილების შემოღებაა საჭირო, იმ წესწყობილებისა, რომელსაც ჰქვია ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია?!.

თ.

კურკას ქორწილი

III

(გაგრძელება)

ერთ დღეს კურკა დუქნიდან დუქნამდის დადიოდა და თავის კარგ ნაცნობ ბაღლებს, ფასიებს, ხარაზებსა და წვრილ ვაჭრებს ეკითხებოდა:

— არ გინდათ ქორწილი კაჭ მოთ?

— ვა, რატომ არ გვინდა! რომელი გიჟი გეტევის ფარს, კურკაჯან!

— მაშ კვირას სადამოს ჟამზე მობძანდით.

— ეთხუდ, კურკი! მადლიერ, კურკი! მაგასედ როგორ გაწყენებთ!

ეგვლანი დაწვრილებით ეკითხებოდენ, რომელ ეკლესიაში იქნება ჯვრისწერა, ვინ ღვინო ექნება ქორწილში და შეზურნეები იქნებიან თუ არა. კურკა ყველას ბასუხს აძლევდა და მეორე დუქნისკენ მიეშურებოდა.

კურკამ თავის მხრით მეჯვარეებად ბაღდი მიიხა და მეთევზე ავეტიკა დანიშნა, თერძი მიხაკა და დარჩო ხარაზი კი მაშის მხრით იყვენ.

სამი დღის წინად კურკამ თავისი სახარაზო დაკეტა და საქორწილოდ მზადებას შეუდგა. დილიდან სიდ მომდის დაცინტულები, დაფუსფუსებდა და მოსვენებას ადარ აძლევდა არც მაშოს მეჯვარეს მიხაკა თერძს, არც მეჩექმე ფირუზას და არც ოქრომჭედელ ᲐᲑᲓᲣᲚᲐᲡ, რომელიც მას ოცდახუთმანეთიან ვერცხლის ქამარს უკეთებდა. მიხაკა კურკას ჩუქურთმიან ახალუხს, განიერ შალვარს და შავ ჩოხას უკერავდა. კურკა დღეში სამჯერ მიდიოდა მასთან და ხან შალვარს იტოლებდა, ხან ჩოხას და ხან ახალუხს.

— მიხაკჯან, იცი რას გეტყვი! ნუკი გეწყინება, მაგრამ ძმურად უნდა გითხრა, რომ ეს შალვარი არ მოგწყოს,— ჩიოდა კურკა და განუწყვეტლივ ტრიალებდა, დადიოდა და ეთვალ მხრიდან სინჯავდა ერთ არშინის სიგანე სატინის შალვარს, რომელშიც თავითფეხამდის ეტეოდა.—ეს ტოტი კარგად იკეცება, მეორე კი როგორღაც თავალში არ მოგდის.

სალამოზე, ოთახში გაწურული და სირბილით დადგილი კურკა უკმაყოფილების კილოზე გადადიოდა:

— კეტო, არ გითხარი ნაოჭი გარეთნისავით გაუკეთე მეთქი! აი, უფერე აქ, უფერე... უფერე... დეგმებიც შორიშორს აქვს გაკეთებული! ერთი დახედე ამას, ეს!

მიხაკას დუქნიდან გაჯავრებული კურკა ფირუზასთან გარბოდა ნახევრად შეკერილ ჩექმებს ხელში ᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲓᲐ, სერიოზულად სინჯავდა, მაგირდებს დარიგებას აძლევდა და ბოლოს მხოლოდ იმას თხოულობდა, რომ მარჯვენა ჩექმის ქუსლი ოთხი თითის დადების ოდენა ყოფილიყო, მარცხენა ჩექმას კი ქუსლი სულ არ უნდა ჰქონოდა.

ქორწილის დღე მოახლოვდა და კურკამაც სირბილს უმატა. ერთი დღე, დილიდან სალამოზედის, ის ს

— ძმებოჯან!—აკანკალებულის ხმით დიწეო კურკამ და ცოტა ხნით გაჩუმდა.

— ძმებოჯან! მე ერთი სიწყალი ვინმე ვარ, არც სახლი მაქვს, არც კარი და არც ქერი. მე... მე ერთი დაბრიუგებული ჩრაზი ვარ. ბატრონი არა მყავს და მოშვილდა...

— რატომ არა გყავს! როგორ არა გყავს! განა ჩვენ აქ არა ვართ!—მიაძახეს ერთ-იქიდან. მაგრამ კურკამ ხელი დაუქნია და გაჩუმდა.

— არა, ძმებოჯან! მე უბატრონო კაცი ვარ. დღემდის ობოლი ვიყავი... ვინც არა მგონია, მე მიბრიუგებდა.. ვინც არა მგონია, მე მცემდა.. ეაწყალებდა... მტ ნაკვდა...

კურკას ხმა აუკანკალდა და გული ამოუჯდა.

— ძმებოჯან! ჩემო ძმებო... ჩემო ამხანაგებო! დღეის იქით მე უბატრონო ადარა ვარ... მე... მე ბატრონი გამიჩნდა, ჩემი მაშო ბებიას ადარავის მოაცემინებს..

კურკამ ჯიბიდან თავის ბებრუშკის ხელსახოცი ამოიღო და ცრემლი მოწმინდა.

— ჩემი მაშო ნამდვილი ანგელოზია... ცოდნ ჩ.მოსული ანგელოზია... მაშოჯან! შენ რომ არ მოსულიეავ ჩემ დასახსნელად.. შენ რომ არ მოშშველებოდი, დღემდის დადუბული ვიქნებოდი... ჩემო... ჩემო მხსნელო ანგელოზო, ჩემო... ჩემო...

კურკას უცებ ჭიქა ხელიდან გაუვარდა, ორ ვე ხელები თავებზე მიიდო და ქვითინი ამოუშვა. ეველანი წამოიშალენ, კურკას გარს შემოეხვიენ და დამშვიდება დაუწყეს.

— ბიჭო, კურკი, რა დაგეარა, შე ღმერთ გამწყრალო, შენ!

— ვა ა, ეს სად ური ამბავია!

— არა უშავს რა, არა უშავს რა, ამშვიდებდა ეველა. დარჩო და კურკა მეორე ოთახში მიჰყავდა.

კურკას კისერი მოსწყდა, დონე გაშოლდა და ფეხზე ძლივს იდგა. ვიღაცამ დიდის წვალებით ტანისამოსი გახადა და დოგინში ჩააწვინა. გვერდით ბატარა ბიჭი მოუჯდა და წამლიანწყმ კახურებულ შუბლზე ცივ ტილოს ადებდა.

— დეკური!—დაძახა ვიღაცამ მეორე ოთახში და იმავე წუთს დუღეკმა დეკური დაკარ.

— დედოფალმა უნდა ითამაშოს, დედოფალმა!—ეგიროდენ ეველანი და გაცხარებულნი ტაში უკრავდნენ.

— ტაშ-ტაშ! ტაშ-ტაშ! ტაშ-ტაშ! —ესმოდა კურკას და ისიც გრძნობდა, რომ მაშო და კიდევ ვიღაც კაცი დეკურს ოამაშობდენ, მხიარულობდენ და ის კი, ავადმყოფი, დაღლილი და დაუძლურებული კურკა, ეველას დავიწყდა.

— მაშო-ო!—სუსტად დაუძახა კურკამ, მაგრამ ხასუხი არავისგან მიიღო.

— მაშო-ო-ო!—გაიმეორა მან, მაგრამ არც მეორედ მიიღო და გაჩუმდა. მერე ბურუსში გაეხვია და ბუნდოვანად ესმოდა ვიღაცის ბაიათი, შიქსტა, მრავალეამიერ, სადეკრძალოები და დუდუკის ტკბილი ხმა.

კურკას ჩაეძინა.

გათენება მოახლოებულიეო, რომ კურკამ გამოიღვიძა. სამანდად სწყურდა, თავი გაბრუებული ჰქონდა და ისე დამძიმებულიეო, თითქო ცივი ტეეთით გაეესაოო. ჯერ ვერ მიხვდა, სად იეო და რა დაეარა, მაგრამ მალე გონს მოვიდა, ეველაფერი მოაგონდა და გაეკვირდა, რომ მაშო იმის გვერდით არ იწვა. ირგვლივ სამარისებური სიჩუმეიეო. ბნელოდა. უცებ მეორე ოთახიდან რაღაც ხმაურობა და ჩურჩული მოისმა. კურკა აკანკალებენილეთი წამოხტა, ნიადაგით ბალიშზე დაეურდნო და სული განაბა. მეორე ოთახიდან ხელმეორეგ მოისმა ჩურჩული და ხმაურობა. მერე ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. კურკა სულ განაბული უგდებდა ეურს ამ სიჩუმეს, მაგრამ კარგა ხანს ადარეეერი ისმოდა. უცებ ისევ მოისმა ხმაურობა, თითქო ვიღაც ოთახის წვერებზე დადისო. მერე ვიღაცამ ფრთხილად აიკიდა ერთ-ერთ კარები გაიდო და კარი გაეიდა. კურკას შუბლზე ცივმა ოფლმა დასხა, სუნთქვა გაუძნელდა და თვალებზე აუდგა. აიანიდან შემოასვლელმა კარებმა დაიკრაკალა. გაიდო, ოთახში ფეხაკრეეით ვიღაც შემოვიდა და ჩასჩურჩულა:

— კურკა, გძინავს?

კურკამ დარჩის ხმა იცნო, მაგრამ ხმა არ გასცა, თავი მოიმძინარა და ოანავ ხვრინვაც კი ამოუშვა. კურკას რიდაცის რცხვენოდა და ეშინოდა. ის მხოლოდ გრძნობდა, რომ ხმის ამოღებ და იმის თქმა, რომ მას არ სძინავს და ეველაფერი იცის, ისევ იმისთვის იეო სირცხვილი და ამიტომ სდუმდა და ნატრობდა, რომ დარჩის ერთეერი გაეგო და არ ეერი შეეტეო.

დარჩომ ფრთხილად გაიხადა ტანისამოსი და დაწვა. კურკას ადარ დასძინებია. გაუნძრევლად იწვა გულდმა, უზრუნველ შესტქვროდა სიბნელეს და ესმინელ იწვა ებრძოდა.

მეორე დილას დარჩო ზანტად იცვამდა ტანისამოსს და ისევ გულდმა მწოდარე კურკას ეუბნებოდა:

— სამ-ოთხ მანეთზე ნაკლებად ოთახს ვერ იშოვნი. ან რად უნდა დასარჯო მაგოდენა ფული! ეი აქ მესამე ოთახი მაქვს ცოტა ბნელი და ნოტიო ოთახია, მაგრამ არა უშავს რა: გასწმინდე გაასუფთავე და იცხოვრე. ორივეს ბურიც გეყნეთ, ჩაიც და სადილიც. მაშო ჩემ ცოლს სასლში მოეხმარება, შენ კი ისევ იქ იმუშავებ. ეჰ, რას იტყვი, თანხმა ხარ? რას გაჩუმებულხარ? თუ ჯამაგირი გეტოტეგებ, კიდევ მოგამატებ და თუშარს გაგიხდი. სამი დღე თავისუფალი ხარ. მერე კი ისევ საქმეს უნდა შეუდგე. ადე მაშას გახედე, იქნება უნდა რამე,— დაამთავრა გულგრილად დარჩომ და კარეთ გავიდა ბირის დასაბანად. მ. ადამაშვილი.

(დასასრული იქნება)

რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი
გამომცემელი თ-დი პავლე ი. თუმანიშვილი.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲕᲔᲗ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ

„ᲠᲝᲓᲝᲒᲠᲘᲜᲘ“ მ. Ვ. ᲚᲔᲒᲔᲓᲔᲕᲘᲡᲐ

ეს წამალი სრულიად აკრობს რამდენსამე დღეში ძველს ბეგერას ტ მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად, მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული, № 22437.

იყიდება ტფილისში—საფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობისა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში. (წლ.)

რკინის გზით მგზავრ ქართველ მკითხველთა საყურადღებოდ.

დაიბეჭდა და ისყიდება სადგურ მიხაილოვის ბილეთის კასაში საინტერესო ახალი თანამედროვე რომანი ორ ნაწილად.

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ

წიგნი დიდი ზომისაა. დაწერილია დღეანდელ კითხვებზე, ცოლ-ქმრის კავშირზე და სქესობრივ დამოკიდებულებაზე. დაბეჭდილია სუფთად, მშვენიერის კანით, მაგრა შეკერილი, შეიცავს 350 გვერდს და ღირს მხოლოდ ორი აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „Щодна“. Ст. Михайлово, первому билетному кассиру Чархишвили. (10 6)